ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №7, სექტემბერი, 2016

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბსუ-ს სტუდენტებს შეხვდა

10 სექტემბერს საქართველს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდა და დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ საჯარო ლექცია წაიკითხა. საქართველოს პრეზიდენტმა უნივერსიტეტში სტუმრობისას, რექტორთან მერაბ ხალვაშთან ერთად, ერთობლივ მემორანდუმს მოაწერა ხელი, რაც უნივერსიტეტში, მედია მიმართულების გაძლიერებას და კულტურის მეცნიერების მიმართულების საბაკალავრო პროგრამის გახსნას ითვალისწინებს.

პრეზიდენტმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მნიშვნელობაზე — საკონსტიტუციო სასამართლოს როლსა და ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტის, პარლამენტის არჩევნებზე გაამახვილა ყურადღება.

გიორგი მარგველაშვილმა ახალგაზრდებს სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული კამპანია „შენი ხმა ჩვენი მომავლია“ შესახებ ესაუბრა — საპარლამენტო არჩევნებზე მისვლისკენ და მოქალაქეობრივი ვალდებულების მოხდისკენ მოუწოდა.

,,მე მიმაჩნია, რომ როცა საარჩევნო უბნებთან მივალთ, შედეგად მივიღებთ არა ორ დაპირისპირებულ ბანაკს, ორ მტრულ ბანაკს, რომელიც ერთმანეთის განადგურებაზე ფიქრობს, არამედ რამდენიმე პარტიას პარლამენტში, სოციოლოგიური კვლევები ამის იმედის საფუძველს გვაძლევს.

როგორც ქართულ სიმღერაში და პოლიფონიაშია სხვადასხვა ხმები, რომლებიც ერთობლიობას ქმნიან, ასეთი განსხვავებული ხედვების, მაგრამ ქართული იდეის პარლამენტს მივიღებთ.

ეს არ არის ჩემი არჩევნები, დღეს მე თვითონ ვარ ამომრჩეველი, რომელიც ცდილობს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება ვის მისცეს ხმა, მაგრამ ეს არის არჩევნები, რომელიც ჩემთვის, როგორც პრეზიდენტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ძლიერი ლეგიტიმაციის პარლამენტი არის ის რაც მე როგორც ამომრჩეველს და როგორც პრეზიდენტს უმთავრეს მოთხოვნად მაქვს ჩამოყალიბებული.

თქვენი ინტელექტუალური რესურსი უნდა გამოიყენოთ იმისათვის, რომ მოვუწოდოთ ყველამ ერთად, რომ 8 ოქტომბერი იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგამთ, რათა ქვეყანა განვითარდეს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ლექციის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და პრეზიდენტმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა. საქართველოს ეკონომიკის განვითარების ასპექტები, საგარეო პოლიტიკა და ტურიზმის მიმართულება — ეს ის საკითხებია, რომელიც ახალგაზრდებმა პრეზიდენტთან შეხვედრაზე განიხილეს.

სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და განსაკუთრებით კი პირველკურსელებს მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წელი!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის კედლებში უკვე 81-ჯერ მიიღებს ახალ თაობას, რომლისთვისაც ეს დღე ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისად იქცევა. თითოეული მათგანი მინდა დავარწმუნო, რომ აქ შინაარსიანი, ემოციებითა და სიხარულით აღსავსე წლები ელოდებათ, რაც მათი ცხოვრების წყაროს სათავედ იქცევა. ისინი აქ მიიღებენ თეორიულ ცოდნასა და იმ პრაქტიკულ კომპეტენციებს, რომლებიც მათი წარმატებული მომავლის, პროფესიული და კარიერული ზრდის საფუძველი გახდება.

ბოლო პერიოდის მანძილზე უნივერსიტეტში ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა ჩვენ კვლავაც აქტიურად ვმუშაობთ და ამის დასტური რუსთაველის ქუჩაზე მდებარე კორპუსის განახლებული პირველი, მეორე და მესამე სართულები გახლავთ. შეძენილია და სულ ცოტა ხანში ამოქმედდება თანამედროვე სტანდარტების საუნივერსიტეტო სტამბა, აგრარული მიმართულებით აეწყობა უახლესი ლაბორატორია და სათბური. ცვლილებებია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების, ელექტრონული მართვის სისტემებში, რაც უფრო ხარისხიანს, მოქნილსა და ობიექტურს გახდის სწავლებისა და შეფასების პროცესს. ეს მხოლოდ მცირედია იმ დიდი გეგმებიდან, რომელთა განხორციელებასაც ვგეგმავთ და რომელთა თანამონაწილეც ამ დიდი ოჯახის თითოეული წევრი გახდება.

მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო ჩემს უნივერსიტეტს, თითოეულ უნივერსიტეტელს სწავლის განახლება, ვუსურვო წარმატებული და შინაარსით დატვირთული სასწავლო წელი.

მერაბ ხალვაში,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე სტუდენტებს შეხვდა

29 სექტემბერს აჭარის ა.რ მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე და აჭარის ა.რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი თავამაიშვილი რექტორთან ერთად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დახმარების პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს შეხვდნენ. რეგიონის აღმასრულებელი ხელისუფლების პირველმა პირმა ახალგაზრდებს სტუდენტთა დახმარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამები გააცნო. სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებით 2012 წლიდან ხორციელდება და მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

2016-2017 წლისათვის კონკურსის წესით დაფინანსება ბსუ-ს 205-მა სტუდენტმა მოიპოვა. შეხვედრის დასასრულს, აჭარის ა.რ მთავრობის თავმჯდომარემ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა. უნივერსიტეტის რეაბილიტაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მოქმედი პროგრამის „აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ ფარგლებში ხორციელდება.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„ბათუმი — წარსული და თანამედროვეობა“

2016 წლის 2-3 სექტემბერს ბათუმის შრს უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში ჩატარდა რიგით VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი — წარსული და თანამედროვეობა“. კონფერენციის მუშაობაში ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელთა გარდა მონაწილეობდნენ სტუმრები, როგორც საქართველოს სამეცნიერო ცენტრებიდან (თბილისი, ქუთაისი, გორი), ისე უცხოეთიდან (თურქეთი — ბურსა, საქარია; ისრაელი — თელავივი; უკრაინა — ხარკოვი; რუსეთი — ყაზანი).

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გახსნა ბათუმის შრს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა. კონფერენციას მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი; ამავე აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე; თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი ლელა სარალიძე, ამავე განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დოდო ჭუმბურიძე; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თამარ გოგოლაძე; თურქეთის რესპუბლიკის საქარიას უნივერსიტეტის მაგისტრანტი ერდოღან შენოლი (ერეკლე დავითაძე).

საერთაშორისო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოისმინეს ორი მოხსენება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ემერიტუსი პროფესორის ბიჭიკო დიასამიძის — „ქალაქ ბათუმის ახალი დაბადება“ და ამავე განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, ისტორიის დოქტორის უჩა ოქროპირიძის — „კიდევ ერთხელ ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების შესახებ“. აღნიშნულმა მოხსენებებმა ცხოველი ინტერესი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, რაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს როინ მეტრეველმა, გურამ ლორთქიფანიძემ, ლელა სარალიძემ, მერაბ მეგრელიშვილმა და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბათუმის მერის გიორგი ერმაკოვის დიდი დაინტერესება ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრობლემებით, და, საერთოდ, ქალაქის ხელისუფალთა მიერ გამოჩენილი ფართო ყურადღება აღნიშნული ღონისძიების მიმართ. იგი რამდენიმე წელიწადია უკვე ბათუმ-ქალაქობის დღესასწაულის ეგიდით და მერის დაფინანსებით ტარდება. თუმცა, გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ამისა, ბათუმ-ქალაქობის ზეიმის წლევანდელ პროგრამაში ჩვენი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ არაფერია ნათქვამი.

კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა 56 მოხსენება 73 მონაწილის ავტორობით. მისი მუშაობა წარიმართა ორ სექციაში სამ-სამი სხდომით. ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგებში საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს: აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა: ნოდარ კახიძემ, გია გელაშვილმა, რამაზ სურმანიძემ, ოთარ თურმანიძემ, დოდო ჭუმბურიძემ, ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, ქეთევან პავლიაშვილმა, ნუგზარ ზოსიძემ, ოთარ გოგოლიშვილმა; აგრეთვე ისტორიის დოქტორებმა: როინ მალაყმაძემ, ოლეგ ჯიბაშვილმა (თანავტ. ხათუნა დიასამიძე), ლელა სარალიძემ, ჯემალ კარალიძემ, მაია აზმაიფარაშვილმა, ნაილა ჩელებაძემ, ზვიად ტყეშელაშვილმა და სხვ.; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა: თინათის შიოშვილმა, რევაზ დიასამიძემ, შოთა ზოიძემ; ფილოლოგიის დოქტორებმა: ნაილე მიქელაძემ, ნესტან მამუჭაძემ და სხვ.; ახალგაზრდა მკვლევარებიდან აღსანიშნავია სულხან მამულაძისა და კახაბერ ქამადაძის ერთობლივი ნაშრომი არქეოლოგიაში; უცხოეთიდან ჩამობრძანებული სტუმრები: მაია ქარცივაძე (ხარკოვი, უკრაინა), ნონა ნიქაბაძე (ბურსა, თურქეთი) და ერდოღან შენოლი (ერეკლე დავითაძე) (საქარია, თურქეთი). განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა წარმოაჩინა საინტერესო შეხედულებები თურქეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობების შესახებ, რამაც კონფერენციის მონაწილეთა დიდ ყურადღებასთან ერთად, სათანდო მოწონებაც დაიმსახურა.

კონფერენციის მუშაობის დროს მისმა მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ხელვაჩაურის ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალი“, რომელიც დაარსებულია საქართველოს სახალხო ოსტატის, ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურიატის, ღირსების ორდენის კავალერის ქემალ თურმანიძის მიერ. ამასთან, მათ დიდი დაინტერესება გამოიჩინეს ბათუმ-ქალაქობის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმართ.

ბათუმის შრს უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა უკვე მეშვიდეთ უმასპინძლა ამ მეტად საინტერესო ღონისძიებას, რომელიც საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან, და უპირველეს ყოვლისა, უცხოეთიდან მრავალ მეცნიერს იზიდავს აღნიშნულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

კონფერენციის მსვლელობისას ადგილი ჰქონდა ცოცხალ პოლემიკას და აზრთა ურთიერთგაზიარებას ქალაქ ბათუმისა და მისი შემოგარენის ისტორიის, ეთნოლოგიის, ეკონომიკის, ტურიზმისა თუ სხვა პრობლრმრბთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ „ბათუმი — წარსული და თანამედროვეობა“ თავისი მიზანდასახულობის მაღალ დონეზე შესრულების ნიშნით ჩაიარა.

უჩა ოქროპირიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

წარმატებული პირველკურსელები

2016-2017 სასწავლო წლისთვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1015 სტუდენტი ჩაირიცხა. ახალგაზრდები მომავალი ოთხი წლისგან ცხოვრების საძირკველის შენებას იწყებენ. „ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო? ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხ-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც რიგიანად მოგიხმარა“.

მარი, გვანცა და თამარი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელები არიან. გოგონები სახელმწიფოს მიერ 100-პროცენტიანი გრანტით დაფინანსდნენ. თამარი და გვანცა ერთ კურსზე ისწავლიან — მომავალი იურისტები არიან, ხოლო მარი მომავალი ქიმიკოსია.

ახალგაზრდები ერთხმად ამბობენ, რომ ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათი წარმატებული ხვალინდელი დღეა.

— ცოტა ხნის წინ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი გავიარე — ბათუმის პირველი საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. პარალელურად ვიყავი ბათუმის ახალგაზრდული ცენტრისა და თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის მოხალისე, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურული სალონის წევრი და გაზეთ „ბათუმელების“ მედიასკოლის მოსწავლე. ამ პროექტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით ბევრი რამ ვისწავლე მოხალისეობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ, რაც დამეხმარა მომავალი პროფესიის არჩევაშიც. გარდა ამისა, მონაწილეობა მიმიღია არაერთ ბანაკში, რომელთაგან ნასას საერთაშორისო ბანაკს გამოვყოფ, რადგან ეს უჩვეულო და ძალიან სინტერესო გამოცდილება იყო.

ძალიან მიყვარს ხელოვნება. ვუსმენ The Beatles-ს, Coldplay-ს, Pink Floyd-ს, Radiohead-ს, Muse-ს, კლასიკური მუსიკას და ოდესღაც ბალეტსაც კი ვცეკვავდი.

ჩემი საყვარელი მხატვრები არიან ფრიდა კალო და ვინსენტ ვან გოგი. არამხოლოდ მათი ნიჭის, არამედ პიროვნული თვისებებისა და ბიოგრაფიის გამო.

ბევრი საყვარელი ნაწარმოები მაქვს, მაგალითად „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“, „ყვავილები ელჯერნონისთვის“, „სამი მეგობარი“, „სამოსელი პირველი“, „ზებულონი“...

საყვარელი მწერლები არიან. ჯორჯ ორუელი, ვიქტორ ჰიუგო, ჯეინ ოსტინი, ო’ჰენრი, ნოდარ დუმბაძე, ჯემალ ქარჩხაძე და კიდევ უამრავი.

მომწონს დოკუმენტური, ბიოგრაფიული და რეალურ ისტორიებზე დაფუძნებული მხატვრული ფილმები.საყვარელი დოკ/ფა იან არტუს ბერტრანის „სახლი“; მხატვრული. „ოქტომბრის ცა“, „შინდლერის სია“, „წიგნის ქურდი“, „ტრუმენის შოუ“ და ა.შ.

— თამარ, რატომ გააკეთე არჩევანი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე?

— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არჩევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი გეოგრაფიული მდებარეობა იყო. ჩემი აზრით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთარ ქალაქში ქონა ძალიან დიდი ფუფუნებაა, რადგან სხვაგან, მითუმეტეს დედაქალაქში, ცხოვრება და სწავლა გარდა იმისა, რომ საკმაოდ ძვირია, დაკავშირებულია ემოციურ და ფიზიკურ სირთულეებთანაც, რასაც ოჯახისა და მშობლიური გარემოსგან შორს დამოუკიდებლად ცხოვრება იწვევს.

გარდა ამისა, ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში მესამეა გაცვლითი პროგრამების მიხედვით. უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება კი, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტის კარიერული და პიროვნული განვითარებისთვის.

კიდევ ერთი მიზეზი იყო შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სტიპენდიები და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება.

რა თქმა უნდა, გავითვალისწინე უნივერსიტეტის 80-წლიანი გამოცდილება, ინფრასტრუქტურა და მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

— თამარ, შენ სახელმწიფოს მიერ 100%-იანი გრანტით დაფინანსდი. რამდენად ელოდი ამხელა წარმატებას?

— 100%-იანი გრანტის აღება სასწავლო წლის დასაწყისშივე მიზნად დავისახე და მას ჩემი და ჩემი მასწავლებლების შრომის ლოგიკურ დასასრულად უფრო მივიჩნევ, ვიდრე განსაკუთრებულ წარმატებად. მსგავს შედეგს ველოდი, თუმცა, ბოლომდე დარწმუნებული მაინც არ ვიყავი და რა თქმა უნდა, ძალიან ვნერვიულობდი, გამუდმებით გამოცდის ნიშნებზე ვფიქრობდი და გულში შეცდომებსაც ვითვლიდი.

— თამარ, შენ მომავალი იურისტი ხარ. რამ განაპირობა შენ მიერ ამ სპეციალობის არჩევა?

— მსოფლიოში უამრავი სფეროა, რომელშიც ძალიან დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი, შესაბამისად, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ათობით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ პროფესიაზე მიოცნებია, თუმცა როცა საკითხზე სერიოზულად დავფიქრდი, მივხვდი, რომ მათი დიდი ნაწილი უბრალოდ ჩემი საქმე არაა და არჩევანი იურიდიულ ფაკულტეტზე შევაჩერე. ეს სფერო ბავშვობიდანვე, აგათა კრისტისა და არტურ კონან დოილის ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ, განსაკუთრებით მხიბლავდა და მერეც, არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებში მოხალისეობისას, მივხვდი, რომ იურისტის პროფესია არამხოლოდ საინტერესო, არამედ აუცილებელია სზოგადოებისთვის, რადგან სამართალმცოდნეს შეუძლია დაეხმაროს ადამიანებს თავიანთი უფლებების დაცვასა და უსაფრთხო გარემოს შექმნაში.

გადაწყვეტილების მიღებისას ასევე დიდი სტიმული იყო მე-ომბუდსმენსა და სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში მიღწეული წარმატება.

ამ პროფესიაში ყველაზე მეტად მაინც ის მომწონს, რომ შეზღუდული არ ვარ. შემიძლია ვიმოღვაწეო არაერთი მიმართულებით. სისხლის, სამოქალაქო, საერთაშორისო, საზღვაო, სამედიცინო სამართალი. შემიძლია ვიმუშაო სახალხო დამცველის აპარატში, სასამართლოში, რომელიმე კომპანიის იურისტად და ა.შ.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ფაკულტეტი ძალიან პოპულარულია, ვთვლი, რომ კარგ იურისტს დასაქმების შანსი ნამდვილად აქვს.

— როგორ წარმოგიდგენია საუნივერსიტეტო ცხოვრება?

— სტუდენტურ წლებს ყველა განსაკუთრებულად იხსენებს, შესაბამისად მეც დიდი მოლოდინები მაქვს. ვაპირებ აქტიური სტუდენტი ვიყო და ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენო იმ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დასაგროვებლად, რომელიც შემდგომ გამომადგება.

— მე და უნივერსიტეტი...

— უნივერსიტეტისგან, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებისგან, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ხარისხიან განათლებას ველი. იმედი მაქვს, ეს იქნება ადგილი, სადაც სამართლის საკითხებთან ერთად ბევრ სხვა რამესაც ვისწავლი და რაც მთავარია, გავიცნობ საინტერესო ადამიანებს, ვისთან ურთიერთობასაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც გავაგრძელებ.

— ჩემი თავისუფალი დრო.

— თავისუფალ დროს ძირითადად ვკითხულობ, ფილმებს ვუყურებ, ფოტოებს ვიღებ ან უბრალოდ, მეგობრებთან ერთად ვსეირნობ, ასევე ვეწევი მოხალისეობრივ საქმიანობას ბათუმის ახლგაზრდული ცენტრსა და თავისუფალ ჟურნალისტთა სახლში, მაგალითად ვატარებდი თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგებს აჭარის მაღალმთიან სკოლებში ადამიანის უფლებების თემაზე და ვამზადებდი სიუჟეტებს დემოკრატიის საკითხებზე.

— ჩემი მიზნები.

— ჩემი მიზნები ჯერჯერობით განათლების მიღებას უკავშირდება. მინდა ბაკალავრიატი წარმატებით დავასრულო და სწავლა მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში გავაგრძელო. ასევე ვაპირებ ბევრი ვიმოგზაურო და დრო დავუთმო უცხო ენების შესწავლასაც.

— მე 10 წლის შემდეგ.

— 10 წლის შემდეგ, როცა 28 წლის ვიქნები, გავლილი მექნება უმაღლესი განათლების ყველა საფეხური, შესაბამისად, საკუთარ თავს ვხედავ, როგორც განათლებულ, კონკურენტუნარიან პროფესიონალს. იმედი მაქვს ამ დროს გაერთიანებულ, განვითარებულ საქართველოში, სტერეოტიპებისგან თავისუფალ საზოგადოებაში ვიცხოვრებ და ამის მიღწევაში წვლილის შეტანასაც შევძლებ.

— „მე გვანცა ლომაძე ვარ, 19 წლის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პირველი კურსის სტუდენტი, ჩემს მომავალ პროფესიაზე უკვე შეყვარებული, იმედებით და მოლოდინებით სავსე.

ბათუმის მე-8 საჯარო სკოლა დავამთავრე და იქ გავატარე 12 დაუვიწყარი წელი. და მჯერა, რომ ასეთივე დაუვიწყარი და ნაყოფიერი იქნება საუნივერსიტეტო ცხოვრებაც.

— გვანცა, რატომ გააკეთე არჩევანი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე?

— პირველ რიგში, იმიტომ, რომ ჩემს ქალაქშია, მეორე მიზეზი კი სწავლის დონე და მისი გაცვლითი პროგრამებია, რამაც ძალიან მიმიზიდა. იმედი მაქვს, ჩემს მოლოდინებს უნივერსიტეტი ერთი-ორად გაამართლებს.

— გვანცა, შენ სახელმწიფოს მიერ 100%-იანი გრანტით დაფინანსდი. რამდენად ელოდი ამხელა წარმატებას?

— როცა 12 წელი სკოლაში კარგად სწავლობ, საატესტატო გამოცდებს სასურველი ქულებით აბარებ, პლიუს ამას, მე-12 კლასში რეპეტიტორებიც გეხმარებიან სასურველი მიზნის მისაღწევად, რა თქმა უნდა, ამ შედეგს ელი.

— გვანცა, შენ მომავალი იურისტი ხარ. რამ განაპირობა შენ მიერ ამ სპეციალობის არჩევა?

— მახსოვს, რამდენიმე წლის წინ მე და ჩემი მეგობარი აგვირჩიეს ბათუმიდან „დანაშაულის პრევენციის სახლის“ პროექტ „იურიდიული სემინარები 2014“-ის მსმენელებად. თბილისში გატარებული ის ერთი კვირა გარდამტეხი აღმოჩნდა ჩემთვის. არაჩვეულებრივ ლექციებს იმიტირებული სასამართლო პროცესი დაემატა თან და ეს იყო საბოლოო რამ, რამაც ამ პროფესიის არჩევა გადამაწყვეტინა. ამის შემდეგ იყო უამრავი კურსი, ლექცია თუ პროექტი ამ სპეციალობასთან დაკავშირებით, სადაც ნელ-ნელა ვხვდებოდი, რომ ეს ის საქმიანობა იყო, რისი გაკეთებაც მომავალში არ მომბეზრდებოდა. ვიყავი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „საიას“ საკვირაო სკოლის მოსწავლე, სადაც დავრწმუნდი, რომ არჩევანი ჩემთვის საუკეთესო პროფესიაზე შევაჩერე.

— როგორ წარმოგიდგენია საუნივერსიტეტო ცხოვრება?

— ჩემი სასკოლო ცხოვრება, მოსწავლეობა ძალიან აქტიური იყო, სკოლის გარეთ უამრავ პროექტში ვმონაწილეობდი, ვიყავი ახალგაზრდული საკრებულოს დეპუტატი, მოხალისე „ლიდერთა სახლში“ და ა.შ. ვფიქრობ, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრება ათასჯერ უფრო საინტერესო, აქტიური, შემოქმედებითად და სასიამოვნოდ დატვირთული იქნება.

— მე და უნივერსიტეტი...

— ბევრჯერ უთქვამთ, სკოლის წლები არაჩვეულებრივია, მაგრამ სტუდენტობას ვერ შეედრებაო. სულ მიკვირდა და ვერ წარმომედგინა სკოლის წლებზე უკეთესი რა შეიძლებოდა ყოფილიყო. ახლა ვფიქრობ, რომ ალბათ სტუდენტობას სულ სხვა ხიბლი აქვს და ველოდები, რომ ჩემი და უნივერსიტეტის შეხვედრა ისეთი იქნება, როგორიც აქამდე წარმომედგინა.

— ჩემი თავისუფალი დრო...

— ჩემი თავისუფალი დრო ძირითადად მეგობრებს და მათთან ერთად გართობას უკავშირდება, გვიყვარს ერთად ფილმების ყურება და სპექტაკლებზე სიარული. მიყვარს ჩემთვის ახალი, უცხო მწერლების აღმოჩენა, მათი ნაწარმოებების კითხვა და ფეხბურთის ყურება.

— ჩემი მიზნები...

— ჩემი მიზნები, ჯერ-ჯერობით პირველი კურსის სასურველ შედეგზე დამთავრებას უკავშირდება. უფრო სამომავლოდ კი — ჩემს კარიერას.

— მე ათი წლის შემდეგ...

— რთულია, ამდენი ხნით წინ წარმოიდგინო შენი თავი, დააწყო გეგმები. ეს უფრო სურვილები იქნება. სამართალმცოდნეობის კონკრეტული მიმართულება ჯერ არ ამირჩევია, მაგრამ რასაც ავირჩევ, მინდა ვიყო ჩემი საქმის პროფესიონალი.

„ვარ მარიამ კეჭაყმაძე,19 წლის. დავიბადე და გავიზარდე ქალაქ ბათუმში. 2016 წელს დავამთავრე ქ.ბათუმის კერძო სკოლა „თაობა XXI“. წელსვე წარმატებით ჩავაბარე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე.

წლების განმავლობაში შორიდან ვაკვირდებოდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ვთვლი, რომ ერთ-ერთი ყველაზე განვითარებადი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოს ბაზარზე. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტი თავის სტუდენტებს სთავაზობს არაჩვეულებრივ პირობებს, რათა სურვილის შემთხვევაში განათლების მიღების გარკვეული პერიოდი უცხოეთში გაიარონ. მახარებს ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ეძებს და ჩართულია ამა თუ იმ სიახლეში, საიტერესო და სასარგებლო აქტიურობები ხშირად დგას უნივერსიტეტის დღის წესრიგში, რაც ზრდის სტუდენტთა ერუდიციის დონეს და საუნივერსიტეტო ცხოვრებასაც უფრო საინტერესოს ხდის.

— რამდენად ველოდი ამ წარმატებას? — ვერ ვიტყვი, რომ არ ველოდი. ეს არ იყო ერთ წელიწადში ნასწავლით მიღწეული წარმატება. ეს იყო წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და მისი რეალიზაცია. ვიცოდი, გამორიცხული იყო წლების ნასწავლ–ნაწვალები უშედეგოდ როდი ჩაივლიდა, მაგრამ წარმატებაცაა და წარმატებაც. ვღელავდი რა თქმა უნდა და ჩემს ღელვას ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ სანახევროდ მე თვითონ მოვამზადე ჩემი თავი, ამით კი ორმაგი პასუხისმგებლობა მქონდა აღებული ჩემს თავთან. მიხარია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ჩემი მაქსიმუმი გავაკეთე. მართალია, რომ ამბობენ — შეუძლებელი არაფერიაო. უბრალოდ საჭიროა გულით გინდოდეს, მოინდომო და აუცილებლად ყველაფერი გამოდის.

— რატომ ქიმიის სპეციალობა? — ხუმრობით ვამბობ, ხოლმე,ქიმია ჩემი პირველი სიყვარულია–მეთქი. ბავშვობიდან მქონდა სურვილის გავმხდარიყავი ქიმიკოსი, თუმცა დროის სვლასთან ერთად სასურველი პროფესიები ერთმანეთს ენაცვლებოდა. საქმე საქმეზე რომ მივიდა, მაინც ქიმია ავირჩიე ბევრი მიზეზის გამო, პირველ რიგში კი იმიტომ, რომ არის უზომოდ საინტერესო, პერსპექტიული და სამომავლოდ მოთხოვნადი პროფესია, რომელსაც სიამოვნებით ვემსახურები.

საუნივერსიტეტო ცხოვრება წარმომიდგენია უზომოდ საინტერესო და მრავალფეროვანი, ამავდროულად არაადამიანურად დატვირთული. ზოგადად, ბევრ რაიმესთან შეჭიდება მჩვევია და ვფიქრობ, სტუდენტური ცხოვრების ფერხულშიც აქტიურად ჩავებმები.

— მე და უნივერსიტეტი? — მგონი უკვე ვუგებთ ერთმანეთს შორიდან — მომწონს ახალბედა სტუდენტის სტატუსი და ვიცი ცხოვრების ეს ეტაპი სტატუსის გარდა ბევრ საინტერესო სიახლეს მპირდება.

ჩემი თავისუფალი დრო ყოველთვის ეკუთვნოდა ხელოვნებას და არა მგონია სამომავლოდაც რაიმე შეიცვალოს. რა პროფესიასაც არ უნდა ეუფლებოდე, აუცილებელია რაიმე ისეთი საქმის კეთებაც, რომელიც განგტვირთავს და შემოქმედებითად დაგმუხტავს. სწორედ ასეთ ზეგავლენას ახდენს ჩემზე ხელოვნების ბევრი დარგი, მაქვს გარკვეული გეგმებიც და ვეცდები ამ კუთხითაც აქტიურად ჩავება სტუდენტურ ცხოვრებაში.

ჩემი მიზნები... იგი უამრავ ასპექტს მოიცავს. პირველ რიგში მინდა დავაგროვო ცოდნა და კარგი, განათლებული, გამოცდილი ქიმიკოსი გამოვიდე და რაც მენდელეევს არ დასიზმრებია, ცხადში გავაკეთო, მცირედი მაინც — სამომავლოდ ჩემგან კარგი კადრი უნდა შევქმნა, რათა კონკურენტულ ბაზარზე ღირსეული ადგილი მეჭიროს. ძირითადი პროფესიის გარდა აუცილებლად დავეუფლები მაინორ პროფესიას, რომელზეც ჯერ-ჯერობით ვერ შევჯერდი. ზოგადად, ვფიქრობ რა პროფესიისაც არ უნდა იყო, თავი ყველაფერში უნდა სცადო, სადაც კი რაიმე, თუნდაც სულ მცირე შანსი გაქვს წარმატების მიღწევის. მეც სწორედ ასე ვაპირებ მოქცევას. ცხოვრებისგან მოცემულ ყველა შანსს იმისთვის, რომ უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივ განვითარებული გავხადო ჩემი თავი.

— ათი წლის შემდეგ? — მე ათი წლის შემდეგ ჩემი თავი წარმომიდგენია წარმატებული,უკვე შემდგარი ქიმიკოსი, რომელმაც დაიმკვიდრა თავი საზოგადოებაში და მუშაობს სტაბილურ სამსახურში.10 წლის შემდეგ მეყოლება ოჯახი და ვიქნები დედა. ვეცდები ჩემი ბავშვობის პატარ-პატარა ოცნებები და იდეები განვახორციელო. ჩავერთვები არა ერთ ორგანიზაციასა თუ საქმიანობაში.

მინდა ვუსურვო ჩემ თავსაც და ყველას ვინც სულ ახლახანს გადავიდა ცხოვრების ამ ახალ და საინტერესო ეტაპზე ,რომ თითოეულ ჩვენგანს აგვსრულებოდეს ყველა ის სურვილი და მისწრაფება, რაც ახლა გვაქვს გულში, გვქონოდეს იმის საშუალება, რომ გავიკვალოთ გზა წარმატებისკენ და რაიმე გაუთვალისწინებელ მოვლენას არ შეეშალოს ხელი“!

დაწყებითი კლასების მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია

პედაგოგიკა მეცნიერებაა ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილების განვითარებაზე, განათლება კი ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილების განვითარებაა, საკუთარი სახის აგებაა გარემომცველ სამყაროზე, საკუთარი „მე“-ს სახეა, საკუთარი ადგილის და როლის პოვნაა ამ სამყაროში. გვესმის, რომ ვცხოვრობთ რადიკალური ცვლილებების ეპოქაში და ეს უპირველესად საგანმანათლებლო სივრცეს ეხება, რადგანაც მომავლის შესახვედრად მზადება სწორედ დაწყებით სკოლაში იწყება. ცვლილებების ეპოქა ითხოვს გადახედვას, კორექტირებას, ისეთი პოსტულატების შეცვლას, როგორიცაა პედაგოგიკის არსი, მისი ობიექტი, საგანი და ძირითადი კატეგორიები. პედაგოგიკამ, როგორც მეცნიერებამ უნდა გაუსწროს დროს და განსაზღვროს საზოგადოების მომავალი და საკაცობრიო პროგრესი. სწორედ აქედან გამომდინარე პედაგოგიკის პრობლემა გადაიქცევა კვლევის აუცილებელ და ფართო განხილვის საგნად.

სწორედ ამ ფიქრებით და მომავლის შესახვედრად მზაობით ხვდება განათლების ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს.

თუ თვალს გადავავლებთ ბსუ-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების ბოლო წლების მაჩვენებელს, შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია შრომის რეგიონულ ბაზარზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, რაც ხელს უწყობს საჯარო და კერძო სკოლებთან უნივერსიტეტის აქტიური თანამშრომლობა და პედაგოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვანი წილი საგანმანათლებლო პროგრამაში. 2016-2017 სასწავლო წლისათვის განათლების ფაკულტეტი სრულად დაკომპლექტდა. უფრო მეტიც, თუკი ვიმსჯელებთ განაცხადების საერთო რაოდენობით (1200 განაცხადი 90 ადგილზე)), შესაძლებელი იქნებოდა 2-ჯერ მეტი სტუდენტის მიღებაც.

ახალ სასწავლო წელს ფაკულტეტი შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებით ხვდება: დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; საბაზო და საშუალო სკოლის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მენეჯმენტი“, მომზადდა ტემპუსის პროექტის „სამაგისტრო პროგრამა განათლების მენეჯმენტში: ლიდერების აღზრდა საგანმანათლებლო რეფორმებისათვის — MAHATMA“ ფარგლებში.

„უმაღლესი განათლების შესახებ კანონში“ ცვლილებების თანახმად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 2016-2017 სასწავლო წლიდან ამოქმედდება „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელზეც სწავლის უფლება ექნება ბაკალავრის/მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე უკვე გამოცხადდა მიღება.

ასევე მომზადდა „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელიც უახლოეს პერიოდში გაივლის ავტორიზაციას და ჩვენ უკვე შეგვეძლება მსურველთა მიღება;

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში.

2017-2018 სასწავლო წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლის საუნივერსიტეტო მომზადება განხორციელდება ინტეგრირებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო 300 კრედიტიანი აკადემიური პროგრამებით.

ფაკულტეტმა მიიღო ეს გამოწვევა და ინტენსიურად მიმდინარეობს 300 კრედიტიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობა. მომავალი წლისათვის ჩვენ ვგეგმავთ დაწყებითი განათლების 300 კრედიტიანი პროგრამის გარდა აკრედიტაციაზე წარვადგინოთ ადრეული განათლების, საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის, სპორტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამები.

ფაკულტეტი მზადაა სტუდენტთა ახალი ნაკადის მისაღებად. გარკვეული ცვლილებები შევიდა სასწავლო კურსების სილაბუსებში. გადახალისდა მატერიალური ბაზა: სასწავლო აუდიტორიებში დამონტაჟებულია პროექტორები, ტემპუსის საგრანტო პროექტის ესპაიერის (ASPIRE) („შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია“) ფარგლებში უახლესი ტექნიკით აღიჭურვა ინკლუზიური განათლების ტრენინგ ცენტრი. გაუმჯობესდა დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისათვის შესაბამისი სამუშაო სივრცე და გარემო. სასიამოვნო და აკადემიური გარემო შეიქმნა სტუდენტებისთვის: დერეფნებში მოეწყო სტუდენტებისათვის სამუშაო კუთხე, სადაც განლაგდა მაგიდები და დაიდგა კომპიუტერები.

ტემპუსის საგრანტო პროექტის „ინდივიდუალური საჭიროებების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია“ ფარგლებში, შეძენილი იქნა 14800 ევროს ღირებულების ტექნიკა, მათ შორის მოხდა 5 აუდიტორიის აღჭურვა პროექტორებით და ბსუ-ს ბიბლიოთეკისთვის შეძენილი იქნა დაახლოებით 2400 ევროს ღირებულების ლიტერატურა.

ფაკულტეტი თანამშრომლობს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან (ტალინის უნივერსიტეტი, მაგდებურგის უნივერსიტეტი) გამოცდილების გაზიარების, განათლების სფეროში ერთობლივი კვლევების ჩატარების მიზნით.

ასე მაგალითად, მაგდებურგის უნივერსიტეტმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. ხელშეკრულება სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსამზადებელი ორმხრივი პროგრამის შექმნას გულისხმობს. მემორანდუმის ფარგლებში, მომზადდება ერთობლივი პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსამზადებელი პედაგოგიკის კურსი, შესაძლებელი გახდება, აგრეთვე, მსურველთათვის პროფესიული განათლების ადმინისტრირებისა და მართვის ორმხრივი სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები მაგისტრატურის ერთ ნაწილს გერმანიაში, ხოლო მეორე ნაწილს საქართველოში გაივლიან.

ფაკულტეტი იწყებს თანამშროლობას გერმანულ საერთაშორისო ორგანიზაცია არბაითერ-სამარიტერ-ბუნდთან. უკვე გაიმართა პირველი ოფიციალური შეხვედრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან ბატონ მერაბ ხალვაშთან. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციასა და ბსუ-ს სამომავლო თანამშრომლობას შეეხებოდა, რომელიც განათლების ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის ახალი კურსის „'კატასტროფების რისკების შემცირება“ შემუშავებას და დანერგვას ითვალისწინებს.

მიმდინარე სასწავლო წლიდან დაიწყო საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში (G-Pried) იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა, რომლებიც დაწყებითი განათლების საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, მათი ახალი სასწავლო კურსებით შევსებას, G-pried-ის რესურსებზე წვდომას, აკადემიური პერსონალის გადამზადებასა და დაწყებითი კლასების მომავალი მასწავლებლების G-pried-ის მეთოდოლოგიით მომზადებას.

გასულ წელს უნივერსიტეტმა დაარსებიდან 80 წლისთავი იზეიმა. იუბილის მთავარი ღირებულება წარსულის ხელახალი გადაფასება და უნივერსიტეტის ცხოვრებაში სიახლეების დანერგვა იყო. განათლების ფაკულტეტზე ბსუ-ს 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი არაერთი ღონისძიება ჩატარდა. კერძოდ, ჩატარდა სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის კლუბის „სკოლა-უნივერსიტეტი“ მესამე სამეცნიერო კონფერენცია; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტორმა ოლივერ რაისნერმა ღია ლექცია წაიკითხა თემაზე: „ევროპული გამოცდილება ინტერკულტურულ განათლებაში“; „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის „მულტიკულტურული განათლების ასახვა მასწავლებელთა განათლების პროგრამებში“ ეგიდით ჩატარდა ინტერკულტურული ღონისძიება „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ და ა.შ.

ასეთი დატვირთული, სისხლსავსე და სიახლეებით ცხოვრობს განათლების ფაკულტეტი. იმედია მომავალი სასწავლო წელიც ახალი წარმატებებისა და გამარჯვების წელი იქნება.

დასასრულს, მინდა მივულოცო ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტს ახალი სასწავლო წლის დაწყება, ასევე წარმატებები ვუსურვო ყველა ჩემს კოლეგასა და სტუდენტს.

მაღონა მიქელაძე,
განათლების ფაკულტეტის დეკანი

როგორ ხვდება ახალ სასწავლო წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

დეკანი, პროფესორი
ვლადიმერ ღლონტი

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სახელით გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. სასწავლო წლის პირველი დღე არის ახალი წამოწყებების, ახალი იდეების, შემოქმედებითი ძიების, პერსპექტივებისა და შესაძლებლობების სიმბოლო. ჩვენს სტუდენტებს მინდა ვუსურვო ადვილად და ენთუზიაზმით დაეუფლონ ახალ სასწავლო კურსებს, მიიღონ საფუძვლიანი ცოდნა, ხოლო კოლეგებს, პროფესორებს ახსოვდეთ რომ სტუდენტი არის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი უნივერსიტეტში და შესაბამისად მიუდგენ სამუშაოს შესრულებას მთელი ძალისხმევით და შემართებით. ახალი სასწავლო წელი უნდა იყოს საინტერესო, დატვირთული საინტერესო მოვლენებით, ახალი გამარჯვებებით და პირადი მიღწევებით.

ჩვენი ფაკულტეტი ეკონომიკური განათლების მძლავრი ცენტრია, რომელიც ვითარდება სამი ძირითადი მიმართულებით — განათლება, მეცნიერება და სასწავლო პრაქტიკა. გასულმა ერთმა წელმა გამოკვეთა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ძლიერი მხარეები. ესენია: 1. პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალი; 2. საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება სწავლების სამივე საფეხურზე; 3. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აკადემიური მობილობის, მათ შორის საერთაშორისო, გამოცდილება; 4. სასწავლო პროცესის საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა; 5. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მაღალი პოზიციები საერთოსაუნივერსიტეტო რეიტინგებში; 6. საერთაშორისო თანამშრომლობა; 7. სადისერტაციო საბჭო; 8. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; 9. პროფესიული სკოლების არსებობა; 10. სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება. გასულ წელს რადიკალურად განახლდა, ფაქტიურად თავიდან შეიქმნა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მე ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობა მინდა გადაუხადო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მერაბ ხალვაშს ფაკულტეტის გაძლიერებაში შეტანილი ყოველდღიური ზრუნვისთვის.

ფაკულტეტის სამომავლო გეგმები, მიზნები და ამოცანები....

ჩვენი საქმიანობის პრორიტეტულ მიმართულებად მივიჩნევ ფაკულტეტის მისიით განსაზღვრული ამოცანების რეალიზაცებას. კერძოდ, დროის მოთხოვნათა შესაბამისი კადრების მომზადებას, მაღალი პროფესიონალიზმის დამკვიდრებას, განათლების სისტემის რეფორმის შესაბამისად დიფერენცირებული სწავლის პრინციპების დანერგვას, ფაკულტეტის სპეციალური, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფას, სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, სწავლების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების აქტიურ გამოყენებას, მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მოწვევას უცხოეთის სასწავლო ცენტრებიდან, საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებთან ურთიერთობების დამყარებას გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ევროპის კავშირის ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთკავშირების განვითარების გათვალისწინებით ჩვენ გავაგრძელებთ უნივერსიტეტში არსებულ პრაქტიკას და საგანგებო ყურადღებას დაუთმობთ უცხოური ენების სწავლებას.

უახლეს პერსპექტივაში ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები დადგება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის აუცილებლობის წინაშე, ეს პროცესი ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის და ყურადღების ობიექტს წარმოადგენს.

უმნიშვნელოვანესია, აგრეთვე, სასწავლო პროცესის მონაწილე მეორე მხარის — სტუდენტის მოტივირებული და აქტიური პოზიცია, პასუხისმგებლობის გრძნობა, შემოქმედებითი აქტივობა, მისი სწრაფვა პროფესიის დაუფლებისაკენ, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისაკენ. ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს ამ მისწრაფვების წახალისება, წარმართვა და განვითარება. ჩვენი ამოცანაა სტუდენტებს შეუქმნათ სწავლისა და შემოქმედებითი საქმიანობის ისეთი პირობები, რომ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

მე, ჩემი კოლეგები, ჩვენი კოლექტივი ყოველთვის ვხედავდით უნივერსიტეტის რექტორატის, რექტორის პირად ძალისხმევას იმ ღონისძიებათა გატარების პროცესში, რომლებიც მიზნად ისახავდა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. ეს საკითხი კვლავაც დარჩება პრიორიტეტულ მიმართულებად, იმ განსხვავებით რომ თავად ფაკულტეტიც შეეცდება შეეხიდოს უნივერსიტეტის რექტორს ამ ტვირთის ზიდვაში, გაინაწილოს პასუხისმგებლობა.

დიდი ყურადღება დაეთმობა ფაკულტეტის უმნიშვნელოვანეს რგოლს — დეპარტამენტის მუშაობის სრულყოფასა და გაუმჯობესებას. დეპარტამენტებმა ფართოდ უნდა გაშალონ საქმიანობა სახელმძღვანელოების, ლექციების კურსების სრულყოფისათვის, რაც ხელს შეუწყობს პედაგოგთა ინტელექტუალური პოტენციალის ზრდას. ზემოაღნიშნული ამოცანების რეალიზება გაზრდის ფაკულტეტის დეკანატის პასუხისმგებლობას, ფუნქციასა და როლს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში“.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტი

„ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებას იმედიანი მომავლითა და საუკეთესო სურვილებით ვხვდებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით ხვდება. ფაკულტეტზე ჩატარდა ფართომასშტაბიანი სარემონტო სამუშაოები, შეძენილია ახალი ლაბორატორიული აღჭურვილობა და ტექნიკა. წლევანდელი წელი ვთვლით, რომ სურვილების ასრულების წელია. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სტუდენტს და ლექტორს კომფორტული გარემო ჰქონდეს სწავლისა და მუშაობისათვის.

გასულ სასწავლო წელს ფაკულტეტზე ამოქმედდა ოთხი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა: დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა; ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან კონტაქტების გაფართოების მიზნით ხელი მოეწერა რამდენიმე მემორანდუმს, მათ შორის უცხოეთის უნივერსიტეტებთან. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სასკაჩევანის უნივერსიტეტის (კანადა), ჯანდაცვისა და გარემოს უსაფრთხოების კანადურ ცენტრსა (ჩჩშ) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც რესპირაციულ მედიცინაში ერთიანი კვლევების განხორციელებას ითვალისწინებს.

წინგადადგმული ნაბიჯები გვაქვს ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე ბსუ-ში მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა მარატოს პანოვის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 16 მაგისტრანტმა.

ჩატარდა ორი საეთაშორისო საზაფხულო სკოლა — ეკოლოგიური ცნობიერებადა გარემოსდაცვითი განათლება და V საერთაშორისო სკოლა-სემინარი ბიომედიცინის აქტუალური საკითხები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებმა და სკოლების მოსწავლეებმა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანიზებით ბსუ-ში ჩატარდა სტუდენტ-მედიკოსთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია — „მედეა-2016“. კონფერენცია საქართველოს მედიკოს სტუდენტთა სამეცნიერო განვითარებას, უნივერსიტეტებს შორის კოლაბორაციას, სამედიცინო განათლების სფეროს ინტეგრირებასა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას ემსახურებოდა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი „სამედიცინო ტურიზმისა და აღჭურვილობის“ პირველ საერთაშორისო გამოფენა „Xთl 2016 „’-ში მონაწილეობდა. ბსუ გამოფენაზე ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამით წარსდგა.

უნივერსიტეტს და სკოლებს შორის კოორდინირებული მუშაობისა და ბსუ-ს პოპულარიზაციის მიზნით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ ბათუმის სხვადასხვა საჯარო კოლებში ჩატარდა საჯარო ლექციები.

ჯანდაცვის მიმართულებით ფაკულტეტზე პირველად ჩატარდა პილოტირებული გამოცდა კლინიკური უნარ-ჩვევების სასწავლო კურსში შჩ (ბჯეცტივე შტრუცტურედ ჩლინიცალ ხამინატიონ) მეთოდოლოგიის გამოყენებით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში და საქველმოქმედო აქციებში.

ფაკულტეტზე განახლდა სტომატოლოგიური კლინიკა, რომელსაც ამჟამად მხოლოდ სასწავლო დატვირთვა აქვს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე პაციენტებსაც მოემსახურება.

ფაკულტეტს ამშვენებს ახლად გახსნილი ზოოლოგიისა და მინერალოგიის კაბინეტები.

2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე 138 აბიტურიენტმა მოიპოვა ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება. შედეგები დამაკმაყოფილებელია. გარდა ამისა დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე განაცხადი 150-ზე მეტ უცხოელ სტუდენტს აქვს გაკეთებული. საგანმანათლებლო პროგრამების მატების შესაბამისად ფაკულტეტზე სტუდენტთა რაოდენობაც გაიზარდა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ძირითადი მიზანი და პრიორიტეტი გეგმიური ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესის წარმატებულად გავლაა. ამასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებული გვაქვს.

მნიშვნელოვნად ბევრი რამ გაკეთდა 2015-2016 სასწავლო წელს უნივერსიტეტში. სწრაფად და დინამიურად განვითარდა ინფრასტრუქტურა, შეძენილია სხვადასვა ტექნიკური აღჭურვილობა, სიახლეებია სასწავლო პროცესის მართვაში და ეს ყველაფერი ნამდვილად კარგად აისახება უნივერსიტეტის სტატუსზე და ვიმედოვნებ კიდევ უფრო გაზრდის მის ცნობადობას. მაგრამ საქმის კეთებასთან ერთად მოთხოვნადობაც იზრდება და წინა პლანზე იწევს ის საკითხები, რომლებიც განუხორციელებლად გვეჩვენებოდა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებში საველე პრაქტიკები აუცილებელი კომპონენტია. ვფიქრობთ, სტაციონარული ბაზების არსებობა შეამცირებს საველე პრაქტიკის ხარჯთაღრიცხვას და აამღლებს სწავლების ხარისხს.

ეკოლოგიური და გარემოს დაცვითი პრობლემები დღეს მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ამ მიმართულებით უნივერსიტეტს რეგიონში წამყვანი პოზიცია უნდა ეჭიროს. ამ მიზნის მისაღწევად ფაკულტეტზე დაგეგმილია ეკოლოგიური ლაბორატორიის აღჭურვა.

მზადების პროცესშია მედიცინის რუსულენოვანი და ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ინგლისურენოვანი პროგრამები. მომავალ წელს ამოქმედდება რამდენიმე ახალი პროფესიული პროგრამა — მედდა, ფარმაცევტის თანაშემწე, მასაჟისტი და კბილის ტექნიკოსი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პოპულარიზაციის მიზნით რიგი ღონისძიებები განხორციელდა 2015-2016 სასწავლო წელს. მაგალითად, პროფესორებისა და სტუდენტების მიერ სკოლებში ჩატარდა ღია ლექციები, პერმანენტულად ვიწვევდით სკოლის მოსწავლეებს უნივერსიტეტში. მომავალი წლიდან კიდევ უფრო ვგეგმავთ ამ მხრივ გააქტიურებას.

საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსისათვის მოზადდება პროექტი — 26 მაისის და ზღვისპირა პარკის დენდროფლორის ბოტანიკური აღწერა და სისტემატიზაცია, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის ორ მომიჯნავე პარკში არსებული მცენარეულობის სისტემატიზაციას და ეტიკეტირებას. ეს პროექტი ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტის პოპულარიზაციისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება და ჩვენს ქალაქსაც დაამშვენებს.

ვიმედოვნებ, რომ იმ შემართებით, ტემპით, და გეზით რაც უნივერსიტეტს დღეისათვის აქვს აღებული, ყველა ეს ჩანაფიქრი მიზანს მიაღწევს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ახალი სასწავლო წელი საუკეთესო სურვილებით მივულოცო პირველკურსელებს, ყველა ჩემს სტუდენტს და კოლეგას, უნივერსიტეტის ყველა თანამშომელს. 81-ე სასწავლო წელი ბედნიერი და წარმატებული ყოფილიყოს ჩვენი უნივერსიტეტის და თითეული უნივერსიტეტელისათვის. განათლების სისტემაში რთული გამოწვევების პერიოდში განსაკუთრებული გაფრთხილება ესაჭიროება ჩვენი კუთხის საგანძურს, ამას მხოლოთ პროფესიონალიზმითა და ერთმანეთის თანადგომით შევძლებთ“.

დეკანი, პროფესორი მარინა ქორიძე

ინტერვიუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ახლდარჩეულ თავმჯდომარესთან



— ბატონო ბიჭიკო, გთხოვთ მოკლედ გვიამბოთ თქვენს შესახებ...

— დავიბადე 1940 წლის 25 დეკემბერს, შუახევის რაიონის სოფელ კვიახიძეებში. აქვე დავამთავრე რვაწლიანი სკოლა და სწავლა განვაგრძე ხულოს სახელმწიფო პედაგოგირ სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მცირე ხნით ვიმუშავე დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. შემდეგ სამი წელი სავალდებულო სამხედრო სამსახური, ერთი წელი კიდევ დაწყებით სკოლაში მასწავლებლად მუშაობა და 24 წლისა, 1964 წელს ჩავირიცხე ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამის შემდეგ, უკვე 52 წელია ამ დალოცვილი ტაძრის მსახური ვარ. ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, დამტოვეს ისტორიის კათედრის ლაბორანტად, შემდეგ გავხდი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. ვასწავლიდი სტუდენტებს შუა საუკუნეების ისტორიას, დამხმარე ისტორიულ დისციპლინებს, საქართველოს ისტორიას... ბედნიერი ვარ, რომ სტუდენტებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, ჩემი სალექციო საგანი უყვარდათ და ბევრ ჩემს სტუდენტს მომავალი გზის სწორად განსაზღვრასა და გადაწყვეტილების შესრულებაში სათანადო დახმარება გავუწიე. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე გავიარე უნივერსიტეტის იერარქიული კიბის თითქმის ყველა საფეხური: გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე, ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივანი, დეკანის მოადგილე და დეკანი, კათედრის გამგე, პრორექტორი. ვფიქრობ, არც სამეცნიერო საქმიანობით შემრცხვება. გამოქვეყნებული მაქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 12 წიგნად. ჩემი კვლევის ძირითადი მიმართულება იყო და არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები და თანამედროვე ცხოვრების აქტუალური პრობლემები. ნაშრომისათვის „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X სს)“ მომენიჭა აბუსერისძე ტბელის სახელობის სახელმწიფო პრემია. მკითხველი ბევრ ახალს შეიტყობს 2009 და 2016 წლებში გამოცემული სტატიათა კრებულებიდან „ ისტორიული ეტიუდები“ I-II.

ვამაყობ, რომ ამ ყველაფრის პარალელურად ყოველთვის ჩემი ქვეყნის, თუ მხარის პოლიტიკური მოვლენების შუაგულში ვიყავი და დღევანდელი გადასახედიდან, სწორი პოზიცია მეჭირა, ჩემს სიტყვას ვამბობდი. ასე იყო 1978 წელს ქართული ენის სტატუსის დაცვისას, 1980-90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, თუ აჭარის ერთიან ქართულ სივრცეში დარჩენისათვის ბრძოლისას.

ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შრომა დაფასდა. უნივერსიტეტმა ემერიტუსი პროფესორის საპატიო წოდება მომანიჭა, დაჯილდოებული ვარ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს საპატიო სიგელით, ღირსების ორდენით, არც ირგვლივ მყოფთა ყურადღება და პატივისცემა მაკლია.

— რას საქმიანობთ ამ ეტაპზე?

— 2012 წლიდან უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებას ვხელმძღვანელობ, ახლახან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედაც ამირჩიეს, რაც ჩემთვის დიდი პატივია, რადგან ამ ინსტიტუტმა უაღრესად დიდი როლი ითამაშა აჭარის და საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის, მისი ისტორიისა და ეთნოლოგიის, დიალექტოლოგიის და ფოლკლორის შესწავლის საქმეში. ეს მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად შეკრული სამეცნიერო კოლექტივი ახლაც დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებს და სათაო ორგანიზაციის — მეცნიერებათა აკადემიისაგან ყოველწლიურად მაღალ შეფასებას იმსახურებს. 2009-2012 წლები მძიმე იყო ინსტიტუტისათვის. მას წაართვეს შენობა, ოპტიმიზაციის საბაბით შემცირდა შტატები, მომავლის პერსექტივა არ ჩანდა, მაგრამ უნივერსიტეტთან მიერთებამ, სამეცნიერო საქმიანობის ელემენტარული პირობების შექმნამ, ხელფასების შედარებით გაზრდამ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან საქმიანმა მხარდაჭერამ და სამუშაო პირობების გაუმჯობესების რეალურმა

პერსპექტივებმა მეცნიერი თანამშრომლების სამუშაო განწყობილება აამაღლა, მათ მომავლის იმედები ჩაუსახა, რისთვისაც მთელი კოლექტივის სახელით მადლიერება მინდა გამოვხატო.

2012-2013 წლებიდან ინსტიტუტის საქმიანობაში გააქტიურება აშკარაა: ყოველწლიურად სრულდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ე.წ. წლიური შრომები, ყველა აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში, ყოველწლიურად ვატარებთ ორ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „ჩვენი სულიერების ბალავარი“ და „ბათუმი — წარსული და თანამედროვეობა“. გამოიცემა კონფერენციათა მასალების კრებულები. უკვე დაბეჭდილია პირველის მერვე და მეორე კონფერენციის მეექვსე ტომი. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარის) ისტორიის“ ოთხტომეული, „აჭარული საუნჯე“, „გამონათლევი“, მზადდება ამ კრებულების II ტომებიც. ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელო „აჭარა, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“ და არა ერთი მონოგრაფია-გამოკვლევა. უკვე გამოიცა ინსტიტუტის შრომების XI ტომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის საკითხები (IV ტომი).

— რას გვეტყოდით ინსტიტუტის საბჭოს საქმიანობაზე, რომელსაც ახლა ხელმძღვანელობთ?

— ყველა ამ სამეცნიერო საქმიანობას, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, კოორდინირება-ხელმძღვანელობას უწევდა და უწევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომლის წევრიც, ახალი დებულებით, ინსტიტუტის ყველა მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და მათ შორის ინსტიტუტის დირექტორიც. 2016 წლის ივნისამდე საბჭოს უნარიანად ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი და დამსახურებული პიროვნება პროფესორი ნოდარ კახიძე. მე, შეიძლება ითქვას, ამ საქმეში ახალბედა ვარ და შევეცდები კარგად დაყენებული საქმიანობა წარმატებით გავაგრძელო. არადა, საბჭოს მართლაც მრავალმხრივი და საინტერესო საკითხების მოგვარება-შესრულება უწევს.

რამდენადაც შეუძლებელია საბჭოს საქმიანობის სრული სურათის წარმოდგენა, ვფიქრობთ 19 სექტემბერს ჩატარებული საბჭოს სხდომის დღის წესრიგის საკითხთა უბრალო ჩამოთვლა და ზოგიერთის მიმართ მცირე კომენტარიც ნათელს გახდის საბჭოს საქმიანობის მასშტაბურობას: 1. 2016 წლის 2-3 სექტემბერს ჩატარებული VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბათუმი — წარსული და თანამედროვეობა“ შედეგების შესახებ“. 2. 2016 წლის ივლისში მაჭახლის ხეობაში ჩატარებული საველე ექსპედიციების ანგარიშების წარმოდგენის შესახებ; 3. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2016 წლის 27 ივლისის დადგენილების „წლიური თემებისა და ჩატარებული საველე ექსპედიციების ანგარიშების ინსტიტუტის არქივში წარდგენის შესახებ“ შესრულების მდგომარეობა; 4. ინსტიტუტის განყოფილებათა თემატური კრებულების გამოცემის აღდგენის შესახებ; 5. 2018 წელს ბათუმის დაარსებიდან 2500 წლისთავის აღნიშვნის შესახებ; 6. შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მზადების შესახებ; 7. ინსტიტუტში „ხსოვნის წიგნის“ შექმნის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

ვფიქრობ, საინტერესო საკითხებია წარმოდგენილი. ჩანს, რომ საბჭო შესრულებულ სამუშაოს აფასებს, აჯამებს; მეორე მხრივ, ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას ამოწმებს. რაც შეეხება, მეოთხე საკითხს, იგი ინსტიტუტის ცხოვრებაში მძიმე წლებს უკავშირდება, როცა შეწყდა განყოფილებათა თემატური კრებულების „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხების“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის საკითხების, „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“ გამოცემა. ახლა საჭიროდ ჩავთვალეთ მათი აღდგენა განყოფილებათა შესაბამისი დასახელებით, რადგან საამისო პირობები შეიქმნა.

მეხუთე საკითხის განხილვა დაკავშირებულია ბათუმის შესახებ წერილობითი და არქეოლოგიური მასალის შეჯერება-შესწავლასთან. არქეოლოგები ერთხმად აღიარებენ ყოროლისწყლის ზღვასთან შეერთების მიდამოებში (თანამედროვე დასახლება „თამარა“ — ბენზე) ძვ.წ. VI-V საუკუნეებში ურბანული დასახლების არსებობას, რომელსაც გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბერძნულ სამყაროსთან და იგი უწყვეტად გრძელდებოდა ანტიკურ, ელინისტურ, გვიანანტიკურ და მის მომდევნო ხანაშიც. ვფიქრობთ, ეს იძლევა საკმაო საფუძველს დავსვათ საკითხი, რომ 2018 წელს საზეიმოდ აღინიშნოს ბათუმის დაარსებიდან 2500 წლისთავი. რაც შეეხება მეშვიდე საკითხს: 2018 წლის იანვარში შესრულდება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსებიდან 60 წლისთავი, რომელიც საზეიმოდ აღინიშნება. ამ ხნის მანძილზე არა ერთი ღირსეული პიროვნება, რომელიც მოღვაწეობდა ინსტიტუტში, აღარაა ამქვეყნად. ვფიქრობთ, ჩვენ მოვალე ვართ თაობებს შემოვუნახოთ მათი უკვდავი სახეები და საქმეები ამ წიგნი-ალბომის სახით.

ასე, რომ საფიქრალ-გასაკეთებელი ბევრია, ამასთან, ძველი პრობლემებიც რჩება მოსაგვარებელი: განყოფილებებში სამუშაო ფართის სივიწროვე , საველე ექსპედიციებისთვის ხარჯების გაზრდა, ინსტიტუტისთვის მიკროავტობუსის შეძენა, თანამშრომელთა ხელფასების გაზრდა და სხვა, მაგრამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის კეთილგანწყობა, ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების მაღალი პასუხისმგებლობა იმის რწმენას მმატებს, რომ წარმატებებით შევხვდებით ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავს.

ტურიზმის ფაკულტეტის მიღწევები და სამომავლო გეგმები

„საკმაოდ მარტივია ისაუბრო უკვე წარმატებულ ფაკულტეტზე. ჩვენთვის განვითარება და ახალ სიმაღლეებზე ასვლა სტრატეგიული განვითარების ძირითადი ორიენტირია. ვფიქრობ, შრომასაც უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ერთიანი ეროვნული გამოცდების ანალიზით წელს საქართველოში პირველები ვართ. ცნობილი ფორმულა „მოპოვება ადვილია, შენარჩუნება ძნელი“, — ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ამიტომ ვცდილობთ არ დავთმოთ ასპარეზი

დაგეგმილი გვაქვს ძალიან ბევრი სიახლე როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

დავიწყებთ იმით, რომ ლექციების წასაკითხად მოვიწვიეთ როგორც ადგილობრივი პროფესორ-მასწავლებლები, ასევე უცხოელი ლექტორები და ექსპერტები. გარდა ამისა, ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ინტენსიურად დაიწყო მუშაობა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ტურიზმის ფაკულტეტი დღემდე აქტიურად თანამშრომლობს და გაცვლით პროგრამებს ახორციელებს შვერინის (გერმანია), ტელემარკის (ნორვეგია) და ებერსვალდის უნივერსიტეტებთან (გერმანია), ჰამბურგის ევროპის ბიზნესკოლეჯთან (გერმანია).

თანამშრომლობის ფარგლებში დღეს-დღეისობით მოწვეული გვყავს და ფაკულტეტზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ოთხი უცხოელი სპეციალისტი.

სხვადასხვა უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საშუალებით უკვე ამოქმედდა ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები. გარდა ამისა, ინოვაციებისა და სამეწარმეო სწავლების სფეროში შემუშავდება კურიკულუმი.

გაცვლითი პროგრამებით ამაღლდა სწავლების ხარისხი, მზადდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და შესაბამისად მათი დახმარებით, იზრდება ტურისტული პოტენციალი. სტაჟირება გავლილი პროფესორ-მასწავლებლების ძალისხმევით საგანმანათლებლო პროგრამები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

2015 წელს წარმატებით გაიარა აკრედიტაცია ტურიზმის ფაკულტეტის ახალმა სამაგისტრო პროგრამამ „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“, მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში“. აღნიშნული პროგრამა 2015-2016 სასწავლო წელს წარმატებით განხორციელდა.

2015-2016 სასწავლო წელი ტურიზმის ფაკულტეტისათვის წარმატებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით:

პროექტის „მდგრადი ტურიზმი: სოფლად მეწარმეობა და კულტურული მემკვიდრეობის“ ფარგლებში 7 პარტნიორი უნივერსიტეტის რექტორმა მოაწერა ხელი. პროექტი მიზნად ისახავს ყირგიზეთს, საქართველოსა და ნორვეგიას შორის განათლების სფეროში, კერძოდ კი მდგრადი ტურიზმის მიმართულებით თანამშრომლობას. თანამშრომლობა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სტაჟირებას, პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელებას, მდგრადი ტურიზმის სწავლების სფეროში კურიკულუმის შემუშავებას მოიცავს.

ტურიზმის ფაკულტეტის 3 სტუდენტი პროექტის „მდგრადი ტურიზმი: სოფლად მეწარმეობა და კულტურული მემკვიდრეობის“ ფარგლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტში (შ) გამართულ საზაფხულო სკოლაში ღებულობდნენ მონაწილეობას.

ტურიზმის ფაკულტეტის 10 სტუდენტი ერთობლივი პროექტის — „ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში რეგიონული ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ინტეგრაციის სფეროში განათლება“ ფარგლებში ნორვეგიაში იმყოფებოდნენ. ახალგაზრდებმა ტელემარკის უნივერსიტეტში ერთი თვის განმავლობაში გაიარეს სასწავლო კურსები. სტუდენტები გაეცნენ სასოფლო ტურიზმს, ზამთრის კურორტების მენეჯმენტს, აგროტურიზმსა და ტურისტული სერვისის ხარისხის ამაღლების საკითხებს.

2015 წელს ტურიზმის ფაკულტეტისა და გერმანიის ევროპული ბიზნესის სკოლის ორგანიზებით I საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ ჩატარდა. საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში 30-მდე სტუდენტი ღებულობდა მონაწილეობას, რომლებმაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები გაიარეს, როგორიცაა: ტურიზმის განვითარების ხედვა და სტრატეგია, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები, ტურიზმი და ეკოლოგია და ტურიზმი გლობალურ დონეზე.

2016 წელს ტურიზმის ფაკულტეტისა და გერმანიის ევროპული ბიზნესის სკოლის ორგანიზებით II საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ გერმანიაში ქ. ბერლინში ჩატარდა. სწავლება მიზნად ისახავდა ტურიზმის ინდუსტრიის სიახლეების გაცნობასა

და გერმანელი კოლეგების გამოცდილების გაზიარებას. საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში ტურიზმის ფაკულტეტის 10 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას.

ტურიზმის ფაკულტეტი ჩართულია ტემპუსის პროექტში — „უმაღლესი განათლების ინტერდისციპლინური რეფორმა ტურიზმის მენეჯმენტის და გამოყენებითი გეოინფორმაციის სასწავლო პროგრამაში“. პროექტი მიზნად ისახავს: კავკასიაში, უმაღლესი განათლების ინტერდისციპლინურ რეფორმას ტურიზმის მენეჯმენტის და გამოყენებითი გეოინფორმაციის სასწავლო პროგრამაში, რომლის ფარგლებში შემუშავებული იქნება ახალი სასწავლო კურსები, მოდულები და ფაკულტეტი აღიჭურვება პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური ბაზით.

ტურიზმის ფაკულტეტის 78-მა სტუდენტმა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა გაიარა გერმანიის ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში.

დასაქმებულ სტუდენტთა რაოდენობა გასამმაგდა.

ტურიზმის ფაკულტეტის 6 პროფესორმა სტაჟირება გაიარა ბერლინისა და ნორვეგიის უნივერსიტეტებში.

ტურიზმის ფაკულტეტის 30-მდე სტუდენტმა სხვადასხვა გაცვლითი პროგრამით სწავლა განაგრძო გერმანიის, საფრანგეთის, ნორვეგიის, ლატვიის და თურქეთის უნივერსიტეტებში.

მომზადდა 20 საბაკალავრო ნაშრომი, მათ შორის 5 ნაშრომი ნორვეგიაში.

2015-2016 სასწავლო წელს სტუდენტთა აკადემიური მონაცემები გაუმჯობესდა, ფაკულტეტზე გასულ სემესტრთან შედარებით, აბსოლუტურ ფრიადოსანთა და კარგოსანთა რაოდენობა გაორმაგდა.

ტურიზმის ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდა სპეციალური ტრენინგები სწავლასა და სწავლების მეთოდებში; კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემებში.

ყველა კურსზე შექმნილია, „სპეციალური ჯგუფი“, სადაც მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ინგლისური ენის მცოდნე სტუდენტები სწავლობენ. ნიშანდობლივია ის, რომ აღნიშნულ ჯგუფში სტუდენტები სემესტრების მიხედვით როტაციით ენაცვლებიან, რაც სტუდენტებში კარგად სწავლის მოტივაციას ზრდის.

2016 წელს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა გერმანიასა და საქართველოში სხვადასხვა ტიპის ტურისტულ გამოფენებში მიიღეს მონაწილეობა.

მთელი სასწავლო წლის განმავლობაში იმართებოდა სასწავლო-პრაქტიკული ხასიათის ექსკურსიები ტაო-კლარჯეთში, მაღალმთიან აჭარასა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ტურიზმის ფაკულტეტი აგრძელებს ინოვაციურ საქმიანობას, სტუდენტებისათვის და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს მიმზიდველი სასწავლო გარემო“.

ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი როსტომ ბერიძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი მარინა გიორგაძე

„ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მიმდინარე სასწავლო წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, ბაკალავრიატი თითქმის 97%-ით დაკომპლექტდა, არ დარჩენილა ვაკანტური ადგილი ქართული ფილოლოგიის, ისტორიის, ინგლისური ფილოლოგიის, ფილოსოფიის, თურქეთისმცოდნეობისა, თურქული ფილოლოგიისა და თარგმანმცოდნეობის პროგრამებზე, რაც, ვფიქრობ, ძალიან კარგი შედეგია. პირველ კურსზე 231 სტუდენტი მივიღეთ, ათეულობით სტუდენტმა ისარგებლა მობილობით და სწავლის გასაგრძელებლად გადმოვიდა ჩვენს ფაკულტეტზე, კონკურსის პირობებში ჩაიარა მისაღებმა გამოცდებმა სამაგისტრო (განსაკუთრებით, სოციოლოგია, ევროპეისტიკა) და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე. ეს არჩევანი მიუთითებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობაზე. ახალ სასწავლო წელს გადახალისებული საგანმანათლებლო პროგრამებით, ახალი არჩევითი საგნებით ვხვდებით, ვფიქრობ, სასიამოვნო და საინტერესო სიახლეა ის, რომ პირველად იწყება აფხაზური და ჩინური ენის სწავლება მსურველთათვის, სხვა სიახლეებიც იგეგმება. მომავალ სასწავლო წელსაც დაგეგმილი გვაქვს ბევრი საინტერესო ღონისძიება, ჩვენი მთავარი საზრუნავი სწავლების ხარისხის განვითარება იქნება“.

სამართალი — მაღალრეიტინგული სპეციალობა

იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ადამ მახარაძე.

— იურიდიული ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს კარგი განწყობით ხვდება. ასეთ განწყობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: 1. იურიდიული განათლება ჩვენს მოსახლეობაში ინარჩუნებს პოპულარობას, იგი კვლავ რჩება ყველაზე მოთხოვნად განათლების მიმართულებად. ამ ფონზე ჩვენი ფაკულტეტი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით უნივერსიტეტში ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს; 2. ფაკულტეტზე დასრულდა სარემონტო სამუშაოები. ძირითადი სამუშაოები მართალია წინა წელს ჩატარდა, მაგრამ მიმდინარე წლისათვის სასამართლო საიმიტაციო დარბაზთან კეთილმოეწყო მოსამართლის სათათბირო ოთახი და ასევე, ორი შეფენილი სალექციო აუდიტორია. 3. ყველა სალექციო აუდიტორია აღიჭურვა აუდიო და ვიდეო გამოსახულების მქონე ტექნიკით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. 4. სწავლების მიზნით ვაკანტურ საათებზე განხორციელდა სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც არამარტო თეორიული ცოდნით, არამედ პრაქტიკული გამოცდილებითაც გამოირჩევიან და სხვა. ერთი სიტყვით, არაერთი მიზეზი არსებობს სწავლის კარგი განწყობით დაწყების გამოსახატავად და ამისათვის ისიც საკმარისი იქნებოდა გვეთქვა, რომ პროფესურას საკმაოდ ხანგრძლივი დასვენების შემდეგ უკვე კარგად მოენატრა თავის სტუდენტებთან შეხვედრა.

— როგორ შეაფასებთ გასულ სასწავლო წელს (ფაკულტეტის მიღწევები)...

— გასული წელი ჩვენი ფაკულტეტისათვის საკმაოდ წარმატებული წელი იყო, როგორც სასწავლო ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით. სამეცნიერო თვალსაზრისით ჩვენმა პროფესურამ გამოსცა 15-მდე სამეცნიერო ნაშრომი და მონაწილეობა მიიღო 8-მდე საერთაშორისო და 10-მდე რეგიონალური მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო კონფერენციასა თუ სიმპოზიუმში.

საგანმანათლებლო პროგრამები დაასრულეს და იურისტის კვალიფიკაცია მიენიჭათ 78 ბაკალავრს, ხოლო სამართლის მაგისტრის ხარისხი — საჯარო სამართალში 15, ხოლო სისხლის სამართალში 7 მაგისტრს.

გასულ წელს ევრო-კავშირის ჟან-მონეს სახელობის გრანტზე წარდგენილი იქნა განაცხადი, რომლის სახელწოდებაც არის „გაერთიანება ევროპული სწავლებისათვის კავკასიის რეგიონში“. ამ გრანტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს სამეცნიერო კვლევები, ჩატარდეს კონფერენციები, საზაფხულო სკოლები, კვლევითი სემინარები და სხვ. უკვე ამ გრანტის და 2013 წელს გამარჯვებული ევრო-კავშირის ჟან-მონეს „ევრო-კავშირის სამართალი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ გაერთიანების საფუძველზე ჩატარდა საზაფხულო სკოლა მიმდინარე წლის 15-24 ივლისს. სკოლა ინგლისურ ენოვანია და მასში მონაწილეობა მიიღო 17 ქვეყნის 31 სტუდენტმა. ლექციები წაიკითხეს საქართველოს 2-მა, ავსტრიის 5-მა, ესტონეთის 4-მა და თურქეთის 1-მა პროფესორმა. ამ საზაფხულო სკოლაში ლექციები წაიკითხეს ასევე კავკასიის საკითხებში ცნობილმა ექსპერტმა მამუკა არეშიძემ, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ საკითხებში ინტეგრაციის მინისტრის მოადგილემ არჩილ ყარაულაშვილმა, სტუდენტებთან შეხვედრა გამართა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. საზაფხულო სკოლის ფარგლებში განხილული იქნა კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონალური პრობლემები დაკავშირებული კონფლიქტებთან, ადამიანის უფლებების დაცვასთან, ევროკავშირისა და რეგიონალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან, რუსულ იმპერიალურიალიზმზე და კოსმოპოლიტიზმზე ევროკავშირის გავლენა, ევროპული სოციალური დაზღვევა და მიგრაციის პრობლემები და სხვ. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი უნივერსიტეტის ხუთმა სტუდენტმა.

— თქვენი ფაკულტეტის გადასახედიდან, რამდენად კმაყოფილი ხართ 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით?

— ჩვენი ფაკულტეტი ტრადიციულად მაღალი კონკურენციის პირობებში კომპლექტდება და არც წელს იყო გამონაკლისი. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი 55 ადგილით განისაზღვრა და პირველი ადგილით განაცხადი გააკეთა 386 აბიტურიენტმა. საქართველოს მასშტაბით, ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამა სხვა უნივერსიტეტების სამართალმცოდნეობის საგანმანთლებლო პროგრამებთან შედარებით რეიტინგში პირველ ადგილს იკავებს, ხოლო ზოგადად საქართველოში ყველა პროგრამებთან შედარებით მე-3 ადგილს. ასე, რომ ჩვენ ზოგადად ცუდი არაფერი გვეთქმის 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებზე. თუმცა, აქვე გვსურს აღვნიშნოთ ისიც, რომ მიუხედავად ასეთი მაღალი კონკურენციის პირობებში საგანმანათლებლო პროგრამის დაკომპლექტებისა 100 პროცენტიანი გრანტი მოიპოვა 2-მა, ხოლო 50 პროცენტიანი 7-მა სტუდენტმა. ამიტომ, მომავალში სამუშაო იმისათვის, რომ რაოდენობრივ კონკურენციასთან ერთად, როგორმე გაიზარდოს ხარისხობრივი მაჩვენებელიც და რაც შეიძლება მეტი გრანტიანი სტუდენტი ჩაირიცხოს ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამაზე.

— ფაკულტეტის სამომავლო გეგმები, მიზნები და ამოცანები....

— ფაკულტეტი მუდმივად ფიქრობს თავის განვითარებაზე. ამ კუთხით სასურველია ახალი თაობის თანდათანობით შემოყვანა, რომლებმაც იციან დასავლეთ ევროპული ენები. აუცილებლად საზრუნავია მომავალში ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამის სამოქალაქო სამართლის მიმართულების გაძლიერება აკადემიური პერსონალით, მითუმეტეს რომ დასაქმების ბაზარზე ამ კუთხით დიდი მოთხოვნილებაა. საფიქრალია კვლევითი პროცესების წარმართვის მიზნით დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვაზე, ე. წ. სასწავლო და სამეცნიერო გრანტების მოპოვება. ლექტორ-მასწავლებელთა სტაჟირება და უცხოური გამოცდილების გაზიარება. სხვა უნივერსიტეტებიდან ავტორიტეტული ლექტორების მოწვევა და საჯარო ლექციების წაკითხვა და გამოცდილების გაზიარება და სხვ.



გარდაიცვალა ნოდარ ტაბიძე

დასრულდა ქართული ჟურნალისტური განათლების ერთი დიდი ეპოქა. ბატონი ნოდარი — მაესტრო — ყოველთვის განსხვავებულ აურას ქმნიდა აუდიტორიაში: პოეტური ხედვით, იუმორით, კრეატიული მიდგომით შესასწავლი მასალისადმი, სიცოცხლის სიყვარულით.

ნოდარ ტაბიძე 1931 წლის 19 მარტს დაიბადა ტატიანა და პროკლე ტაბიძეების ოჯახში. როგორც მის ბიძას, გალაკტიონს, მასაც სიგიჟემდე უყვარდა მშობლიური ჭყვიში, ის მწვანედ აბიბინებული მოლი, რომელზე ფეხშიშველა გავლაც მამულს შეაგრძნობინებდა. უყვარდა უნივერსიტეტი. სწორედ ნოდარ ტაბიძე იყო ის ადამიანი, რომელმაც ბევრი თაობის სტუდენტს, პროფესიულ უნარ-ჩვევებთან ერთად, თეთრი ტაძრის სიყვარული და პატივისცემა ასწავლა.

„ფეხზე ავუდგეთ დედაუნივერსიტეტს“, — ნოდარ ტაბიძის საყვარელი სადღეგრძელო იყო. იყო პედაგოგი, მეცნიერი და მკვლევარი, მაგრამ, ყველაზე მეტად — პოეტი. პოეტი, რომელიც არ წერდა ლექსებს, იგი სამყაროს ხედავდა, როგორც ერთ დიდ დაუსრულებელ პოემას. პოემას, რომელიც დასრულდა მის წასვლასთან ერთად. ბატონ ნოდარზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, ყველას, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას, თავისი სათქმელი ექნება, თავისი მოსაგონარი, ტკივილი — იმდენად საინტერესო და მრავალმხრივი პიროვნება იყო ჩვენი მაესტრო. უამრავ ადამიანს დაწყვიტა გული, უამრავ მის შეგირდს დაუტოვა სიცარიელე, რომლის შევსებას, ალბათ, ძნელად თუ შეძლებს ვინმე. დღეს ჩვენ უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ბატონ ნოდარს.

დღეს უნივერსიტეტის ჯერია ფეხზე აუდგეს დიდ მაესტროს!

ნინო ჭალაგანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სახელით

არქიტექტურის სპეციალობა ყველაზე მოთხოვნად პროფესიათა შორისაა

ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიზო ფარცხალაძე

— ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვუ-ლოცავ კოლეგებს, ლექტორ-მასწავლებ-ლებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და სტუდენტებს. სიახლეების ძიებას, ახალ მეცნიერულ აღმოჩენებსა და შემოქმედებით წინსვლას ვუსურვებ თითოეულ მათგანს.

ახალ სასწავლო წელს ფაკულტეტი საინტერესო სიახლეებით ხვდება. როგორც მოგეხსენებათ, გასულ წელს ფაკულტეტის არსებობის მანძილზე ყველაზე მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. განახლდა კაბინეტ-ლაბორატორიები, შენობა აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით და რაც მთავარია, ფუნქციონირება დაიწყო მსოფლიო მნიშვნელობის ლაბორატორია ფაბლაბმა, ამასთან ჩვენი ლაბორატორია ჩართული იქნა ფაბლაბების მსოფლიო ქსელში. იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიხსნა. ფაბლაბი ხელს შეუწყობს ინოვაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ბიზნესისა და აკადემიური სექტორის დაახლოებას, გააღრმავებს სტუდენტების სამუშაო გამოცდილებას და აამაღლებს მათი დასაქმების შანსს.

— ბატონო გიზო. როგორ შეაფასებთ გასულ სასწავლო წელს?

როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნე, გასულ წელს ფაკულტეტზე ამოქმედდა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია — ფაბლაბი. თითქმის ერთწლიანი ფუნქციონირების მანძილზე ფაბლაბთან ერთად ფაკულტეტზე არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. ლაბორატორიაში დამზადებულმა ექსპონატებმა რეგიონის გარეთ არსებულ მნიშვნელოვან გამოფენებშიც მიიღეს მონაწილეობა და მაღალი შეფასებებიც დაიმსახურეს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „ექსპოჯორჯიაში“ გამართულ მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალში მონაწილეობა. ფესტივალზე გამოფენილი იყო მომავლის სამრეწველო ლაბორატორიაში სტუდენტების მიერ დამზადებული ინოვაციური პროექტები, ცნობილი შენობების მაკეტები, კონსტრუქციები, ხელნაკეთი ნივთები, რამაც ვიზიტორთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ასევე მნიშვნელოვანი წამოწყება იყო შ და სტუდენტური ასოციაციის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო ღონისძიება — ბათუმის ბულვარში სტუდენტთა ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, რომლიდანაც შემოსული თანხის ნაწილი ბსუ-ს წარმატებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდში გადაირიცხა.

მოდერნიზებული შენობის და დახვეწილი სასწავლო გარემოს პარალელულად იხვეწება საგანმანათლებლო პროგრამებიც. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ საქართველოს მასშტაბით პირველებმა შევიმუშავეთ მოდულური არქიტექტორ-ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უკვე მეორე წელია წარმატებით ფუნქციონირებს, მიმდინარეობს მშენებლობის მწარმოებლისა და ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებელი პროფესიული მოდულური პროგრამების დანერგვა. ასეთი პროგრამების განხორციელება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ აუმჯობესებს შესაბამისი სპეციალობის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ხდება სასწავლო პროცესისათვის აქტუალური სიახლეების შემუშავება და დანერგვა. ფაკულტეტის დეპარტამენტები აქტიურად არიან ჩაბმული საგრანტო პროექტებში. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ენვერ ხალვაშმა გაიმარჯვა. მის მიერ მომზადებულმა პროექტმა: „ძლიერად ანიზოტროპული ახალი მასალების – La1-xMexMnO3 (სადაც Me= Ca, Pb, Sr; x არის Me-ს დოპირების დონე), მაღალტექნოლოგიური შენაერთების (LaGa1-x MnxO3, KCuF3, ...) და სპინ-ტრიპლეტური შენაერთების ელექტრონული სპინური რელაქსაციის და დინამიკის შესწავლა ნულოვან და სუსტ მუდმივ მაგნიტურ ველებში“ უმაღლესი შეფასება მიიღო.

პროფესორ-მასწავლებლები უცხოეთში მიღებული გამოცდილების საფუძველზე უზიარებენ სტუდენტებს მეცნიერულ მიღწევებსა და ინოვაციებს. გასულ წელს „ERASMUS MUNDUSI“-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთთვიანი ვიზიტით ვიმყოფებოდი ესპანეთის ქალაქ ვალენსიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც პროფესორებთან ვიქტორ იეპეს პიკუარესთან და ხულიან ალკალა გონსალესთან ერთად განვახორციელე კონსტრუქციების თანამედროვე მატრიცული მეთოდით დამუშავება, მისი ოპტიმიზაცია მეტაევრისტიკული მეთოდით და მოვახდინეთ მისი გამოყენება წინასწარ დაძაბულ ღეროვან სისტემებზე, კომპიუტერულ პროგრამა MATLA-ის გამოყენებით.

მიმდინარე წელს ჩვენ გავიმარჯვეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებულ „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო ლექციების ორგანიზების მიზნით გამართულ კონკურსში. სწორედ ამ კონკურსის ფარგლებში, 2016 წლის 20–23 ოქტომბერს ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ხულიან ალკალა გონსალესი წაიკითხავს ლექციათა კურს თემაზე — „თანამედროვე მიდგომები საინჟინრო გაანგარიშებებში, საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ოპტიმიზაციის მეტაევრისტიკული მეთოდებისა და სასრულ ელემენტთა მეთოდების გამოყენებით“.

ასევე „ERASMUS MUNDUSI“ პროგრამის ფარგლებში ექვსი თვით ესპანეთის ქალაქ ბილბაოში იმყოფებოდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გოჩა ჩავლეშვილი. ბატონი გოჩა ჩართულია ბასკთა ქვეყნის უნივერსიტეტის (Universidad del Pais Vasco EHU-UPV) და კვლევითი ცენტრის TECNALIA R&D თანამშრომლებისგან შექმნილ IT781-13 კვლევით ჯგუფში, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ხესუს მარი ბლანკო. ჯგუფის მიზანია მრავალშრიანი (ლითონის პერფორირებული ფურცელი, ჰაერის კამერა და მინის ერთობლიობა) ფასადის მქონე შენობებში ენერგეტიკული მდგრადობის კონცეფციის შემუშავება. რისთვისაც ხორციელდებოდა თბური რეჟიმების შესწავლა ფასადის ისეთი პარამეტრების ცვალებადობისას როგორიცაა ფურცლის მასალა, ფერი და პერფორაციის სიდიდე. ბატონი გოჩას მონაწილეობით კომპიუტერულ პროგრამებში MATLAB-სა და LABVIEW-ში სითბოს ბალანსის განტოლებების გამოყენებით აგებული იქნა თეორიული მოდელი, რომლის საშუალებით ხორციელდება ლითონის ფურცლის, ჰაერის კამერის და მინის ტემპერატურების გაანგარიშება სხვადასხვა მასალის, ფერის, პერფორაციის მაჩვენებლების, გარემოს ტემპერატურისა და მზის რადიაციისათვის. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ესპანეთის ორი ქალაქის ბილბაოსა და სევილიასათვის მომზადებული იქნა თეორიული მოდელი LABVIEW-ში. ჯგუფის მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ბატონი გოჩას ურთიერთობა ჯგუფის წევრებთან კვლავ გრძელდება ელექტრონული ფოსტითა და სხვა საშუალებებით. ამასთანავე, მიღებულ გამოცდილებას უზიარებს სტუდენტებს, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული საქმიანობისათვის მათი ცოდნის გაფართოებას.

— ბატონო გიზო, თქვენი ფაკულტეტის გადასახედიდან, რამდენად კმაყოფილი ხართ 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით?

შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით საკმაოდ კმაყოფილები ვართ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფაკულტეტზე მოქმედ არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე საკმაოდ მაღალი კონკურსი იყო. (აბიტურიენტთა განაცხადების რაოდენობით საუნივერსიტეტო სპეციალობებს შორის მეორე ადგილს იჭერდა). ეს გარემოება ბუნებრივიცაა, რადგან თანამედროვე, ურბანიზირებულ საზოგადოებაში ამ დარგის კვალიფიცირებულ მუშაკებზე მოთხოვნა დიდია, ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ არქიტექტურა მომავლის პროფესიაა და ამიტომაც, არქიტექტურის სპეციალობა ყველაზე მოთხოვნად პროფესიათა შორისაა.

ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე როგორც ინჟინერიის, ასევე აგრარული მიმართულების მხრივ აბიტურიენტების რაოდენობის მიხედვით უკვე შექმნილი იყო საკონკურსო მდგომარეობა და შესაბამისად, შეივსო გამოცხადებული ადგილებიც.

ვფიქრობ, იმ აბიტურიენტებმა, რომლებმაც მომავალი პროფესიული არჩევანი ტექნოლოგიების სფეროზე გააკეთეს, მნიშვნელოვანი და ღირებული ნაბიჯი გადადგეს. ტექნოლოგიებისა და ტექნიკის სფეროში მიღებული განათლება პირველ ყოვლისა, დასაქმების შესაძლებლობას, ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობას და მიღებული ცოდნის რეალიზებას გულისხმობს, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კომპანიებსა თუ უნივერსიტეტებში.

— ფაკულტეტის სამომავლო გეგმები, მიზნები და ამოცანები....

როგორც საუბრის დასაწყისში აღინიშნა, ფაკულტეტზე ისევ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. მთლიანად გარემონტდა შენობის სარდაფი და ხდება მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით. აქვე, ახალ სასწავლო წელს იგეგმება სასადილოს და მშენებლობის მიმართულებით რამდენიმე ლაბორატორიის გახსნა. განახლებულ შენობაში ყოველგვარი პირობა შეიქმნება სრულფასოვანი განათლების მიღებისა და ლაბორატორიული კვლევებისათვის.

ამასთანავე, ფაკულტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რეგიონის წამყვან საინჟინრო და აგრარული მიმართულების კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკასა და სტაჟირებას შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. ახალი სასწავლო წლიდან ვაპირებთ დამსაქმებელთა წრის გაფართოებას, ახალი კომპანიების მოზიდვას. ფაკულტეტს საინჟინრო და აგრარული ტექნოლოგიების მიმართულებით მჭიდრო ურთიერთობა აქვს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან: ბრანდენბურგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, ებერსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლეს სასწავლებელთან, ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან „პოლიტექნიკო დი თორინო“, სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან — KTH. ტექნიკისა და ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს ჩვენ სისტემატიურად უნდა ავუწყოთ ფეხი. ამ მიზნით ფაკულტეტზე უცხოელ სპეციალისტებთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს მართვის ავტომატიზირებული სისტემების ახალი თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების SAP2000, MATCAD, MATLAB, SketchUp-ის და სხვა თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების დანერგვა. ვმუშაობთ ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ვემზადებით მომავალი პროგრამული აკრედიტაციისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტი 2016–2017 სასწავლო წელსაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ინჟინერიისა და აგრარული სექტორის პოპულარიზაციასა და ამ სფეროებში მაღალი აკადემიური განათლების სრულყოფის პროცესში და მომავალ წელს კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას გავუღრმავებთ ინტერესს ტექნოლოგიებისა და ტექნიკური სფეროს მიმართ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ქეთევან ბერიძე

— ჩვენი ფაკულტეტის სახელით უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და ლექტორ-მასწავლებელს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ვუსურვებ წარმატებებს სწავლისა და სწავლების საქმეში. იმისათვის, რომ ყოველი სასწავლო სემესტრი იყოს წარმატებული, საჭიროა შევაფასოთ გავლილი სასწავლო წელი და დავსახოთ ახალი გეგმები.

სასწავლო წლის დაწყებას ჩვენი ფაკულტეტი ხვდება მომზადებული. კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, გამართული ტექნიკური აღჭურვილობით, მოდიფიცირებული სასწავლო პროგრამებითა და სილაბუსებით, ახალი სტრატეგიული გეგმით და მისი განხორციელების მზაობით.

— როგორ შეაფასებთ გასულ სასწავლო წელს (ფაკულტეტის მიღწევები)...

გასული სასწავლო წელი ჩვენი ფაკულტეტისთვის იყო ნაყოფიერი და წარმატებული. კერძოდ:

წარმატებით დასრულდა TEMPUS Innovation teaching პროექტი. რომელიც სამაგისტრო პროგრამისთვის მოდულის მომზადებას გულისხმობს;

●საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტში წარმატებით ხორციელდება ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი „ელექტრონული მთავრობა“;

●საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი მანველიძემ (საჯარო მართვა) და დეპარტამენტის სპეციალისტმა ირინე ცინცაძემ (მას-კომუნიკაცია) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები;

●ამსტერდამში (ნიდერლანდების გაერთიანებული სამეფო) მე-18 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე — „ელექტრონული ეკონომიკა, ელექტრონული ადმინისტრირება, ელექტრონული საზოგადოება, ელექტრონული განათლება და ელექტრონული ტექნოლოგიები“, — მონაწილეობა მიიღო ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი მანველიძემ.

●ასისტენტ-პროფესორი ნატალია ლაზბა მონაწილეობას ღებულობდა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ნალჩიკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის უშუალო ხელშეწყობით ჩატარებულ სამუშაო სემინარზე: „კონფლიქტების ინსტიტუციონალურ — ორიენტირებული კვლევა — კავკასიაში კვლევისა და გამოყენების მეთოდები“ (ICCS);

●განხორციელდა ჟურნალისტიკის მოდულური „ბეჭდური და ონლაინ გამოცემებების რეპორტიორისა“ და „კორესპონდენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;

●მოეწყო ფოტო და ვიდეო სტუდია;

●მოეწყო ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოთერაპიული მომსახურებისთვის საჭირო სივრცე;

●უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ფსიქოლოგიის კლინიკა;

●აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში საჯარო ლექციები წაიკითხა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა თამარ გაგოშიძემ;

●ამერიკელმა ფსიქოლოგმა, კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტმა, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა მარკ ჰოუვიმ წაიკითხა საჯარო ლექცია ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებზე;

●ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის დირექტორმა, საქართველოს ყოფილმა ელჩმა ნატოში ლევან დოლიძემ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ეროვნული უსაფრთხოება და საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“;

●სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის ფსიქოლოგმა, სუიციდის პრევენციის ადგილობრივმა კოორდინატორმა და მულტიდისციპლინარული გუნდის ფასილიტატორმა ზურაბ ქარჩავამ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „სუიციდის პრევენცია პენიტენციურ სისტემაში“;

●იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანტონიო ენრიკო ბარტოლი შეხვდა ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებს;

●პროფესორმა გურამ ჩაგანავამ ბათუმის სამხედრო გარნიზონის ნაწილების წარმომადგენლებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „ქართული კულტურის ფსიქოლოგიური პრობლემები“;

●პროფესორები — ირაკლი გორგილაძე და ლაშა ბაჟუნაიშვილი ესაუბრნენ სამხედრო მოსამსახურეებს გლობალურ და რეგიონალურ პოლიტიკაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლისა და სივრცის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ფაქტორებზე;

●დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა აქცია გამართეს: „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“. საინფორმაციო ხასიათის აქცია მიზნად ისახავდა დაუნის სინდრომის მქონე პირთათვის სოლიდარობის გამოცხადებას და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას აღნიშნული საკითხის ირგვლივ;

●სტუდენტებისათვის ჩატარდა სემინარი პროექტით ICCS (კონფლიქტების ინსტიტუციონალურად ორიენტირებული შესწავლა).

●ფსიქოლოგიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი იმედა ქოჩიაშვილი მონაწილეობდა ქალაქ სტამბულში ჩატარებულ „ერასმუს“ + პროგრამა/ტრენინგში: „სოციალური გადარჩევა“, რომელიც გამიზნული იყო სოციალურად დაუცველი საზოგადოების მხარდაჭერისა და მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნისათვის;

●ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტმა სოფიკო ჩინბამ ასისტენტ-პროფესორ ნატალია ლაზბასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ერევანში გამართულ ტრენინგში, რომელიც მიეძღვნა ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და კონფლიქტების საკითხებს;

●საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი მიხეილ ბენია „რასმუს +“ — ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდა სჩეცინის უნივერსიტეტში, პოლონეთი;

●საერთაშორისო ურთიერთობების მესამე კურსის სტუდენტი ლევან სოლომკო საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის AIESEC-ის ფარგლებში იმყოფებოდა კრაკოვის (პოლონეთი) უნივერსიტეტში;

●ევროპისმცოდნეობის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტები ნინო სიხარულიძე და შორენა ჩავლეიშვილი erasmus mundusis EUROEAST Scholarship Project (rasmus Mundus Action 2)-ის ფარგლებში სწავლებას გადიოდნენ ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტში (პოლონეთი);

●საერთაშორისო ურთიერთობების მესამე კურსის სტუდენტი ოთარ საჯაია და ევროპისმცოდნეობის მესამე კურსის სტუდენტი ანა ნიქაბაძე იმყოფებოდნენ ერზრუმის ათათურქის უნივერსიტეტში საზაფხულო სკოლაში;

●ფსიქოლოგიის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ასოცირებულ პროფესორ რუსუდან კეჭაყმაძესთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ საზაფხულო სკოლაში: „ადამიანის ქცევის ინტერდისციპლინური მიდგომები;

●TEMPUS-ის პროექტ INOTLES ფარგლებში, სტუდენტები და პროფესორები დაესწრნენ ბელგიის ქალაქ ბრიუსელში გამართულ საუნივერსიტეტთაშორისო კურსს „ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა“;

●სტუდენტები შეხვდნენ ამერიკელ დიპლომატებს. ამერიკელი დიპლომატები ესაუბრნენ სტუდენტებს ქართულ-ამერიკული დიპლომატიის გამოწვევებსა და აქტუალურ საკითხებზე;

●ფაკულტეტის 6 სტუდენტი მონაწილეობდა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის (Sciences Po) საინიციატივო ჯგუფის „Broader Perspective“ მიერ გამართული ვორქშოპზე თემაზე „მედია და ნაციონალიზმი“.

●თბილისში გამართულ ს აუნივერსიტეტო დებატებში ბსუ-ს გუნდმა ჩემპიონობა მოიპოვა, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ევროპისმცოდნეობის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი ლელა ფაღავა;

●ასისტენტ პროფესორმა ლაშა ბაჟუნაიშვილმა მონაწილეობა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადების კურსებში;

●სექტემბერში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა საერთაშორისო საზაფხულო უნივერსიტეტი „ბირთვული უსაფრთხოება და გაუვრცელებლობა: გამოწვევები და შესაძლებლობები“. საზაფხულო უნივერსიტეტი წარმოადგენდა ინტენსიურ სამდღიან სასწავლო კურსს გლობალური უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკის და ბირთვული გაუვრცელებლობის შესახებ, რომელსაც ატარებდნენ საერთაშორისო ექსპერტები ბრიტანეთის სამეფო კოლეჯიდან, სტოკჰოლმის უნივერსიტეტიდან, შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოდან, უკრაინის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტიდან, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტიდან.

— ქალბატონო ქეთევან, თქვენი ფაკულტეტის გადასახედიდან, რამდენად კმაყოფილი ხართ 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით?

— ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბოლო 5 წელი ნამდვილად საამაყოა ჩვენი ფაკულტეტისთვის. წელს, აბიტურიენტების განაცხადების საერთო რაოდენობის ანალიზის მიხედვით, ლიდერის პოზიციაზე ვართ. განაცხადების საერთო რაოდენობით, ფაკულტეტური ჩარიცხვების შედეგების მიხედვით — პირველები ვართ. აბიტურიენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე გაკეთებული განაცხადი კი ცხადჰყოფს, რომ ვრჩებით ყველაზე მოთხოვნად საგანმანათლებლო პროგრამებად.

— ფაკულტეტის სამომავლო გეგმები, მიზნები და ამოცანები...

— სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამომავლო განვითარებისთვის აუცილებელია, უახლოესი 2 წლის განმავლობაში განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები. საჭიროა გრანტების მოძიება და აქტიურობა ამ მხრივ, რაც სარგებლის მომტანი იქნება როგორც უნივერსიტეტის, ასევე სტუდენტებისა და პროფესორ — მასწავლებლებისთვის. მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე. ახალი პროგრამების დანერგვა გაამდიდრებს, მაღალბიუჯეტიანს გახდის და აამაღლებს ჩვენი ფაკულტეტის ავტორიტეტს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უნივერსიტეტის დაახლოება სკოლასთან. ამ მხრივ, უკვე დავიწყეთ ნაბიჯების გადადგმა, მალე გაფორმდება მემორანდუმი სასულიერო გიმნაზიასა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს შორის. თანამშრომლობის მიზნით, დაიგეგმა ჩვენი პროფესორების მიერ ტრენინგ-სემინარების ჩატარება სკოლის მასწავლებლებისთვის, რაც დაეხმარება მათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების უკეთ შედგენაში, გსსმ და შშმ მოსწავლეების პროფესიონალურ დონეზე შეფასებაში, თანამედროვე მეთოდური ხერხების უკეთ ათვისებასა და სწავლების ახლებური ტექნოლოგიების გამოყენებაში. ფაკულტეტთან არსებულ ფსიქოლოგიის კლინიკაში მოხდება გიმნაზიის მოსწავლეებსა და სათნოების სახლში მცხოვრები ბავშვებისთვის თერაპიული მომსახურება. დაწყებულია მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლა და მათთან მუშაობის გრაფიკის შედგენა.

ასევე, დაიწყება ახალი პროექტის განხორციელება, რომელიც ერთობლივად დაიგეგმა საქართველოს ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. ჩვენ გავიარეთ სერიოზული კონკურსი და მივიღეთ ევროკავშირის დაფინანსება. პროექტი მიზნად ისახავს ძალადობაგამოვლილი ბავშვებისა და ოჯახების ფსიქოლოგიურ მომსახურებას.

ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად გეგმავენ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის წევრები ნოემბერში მიემგზავრებიან საერთაშორისო კონფერენციაზე პოლონეთში. სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის წევრები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მიემგზავრებიან კიევში. იქ მიღებული ცოდნას გამოიყენებენ ფსიქოლოგიურ კლინიკაში ბავშვების უკეთ მომსახურებისთვის და ასევე, სასწავლო კურსებში პრაქტიკული სავარჯიშოებისა და თერაპიული ტექნიკების უკეთ სწავლებაში.

ვფიქრობთ, რომ აქტუალურ სოციალურ მოვლენებზე უნდა ხდებოდეს დროული რეაგირება, რისთვისაც სასურველია, დაინერგოს საჯარო შეხვედრები შიდა და საერთაშორისო მიმდინარე პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიულ ამოცანად მიგვაჩნია ფაკულტეტის თითოეული წევრის ძალისხმევის წარმართვა იმისათვის, რომ ამაღლდეს ჩვენი ფაკულტეტის რეიტინგი როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი გულადი ფარტენაძე

— ჩვენი ფაკულტეტი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სიახლეებით ხვდება ახალ 2016-2017 სასწავლო წელს. გათვალისწინებულია ფაკულტეტისათვის განკუთვნილი მეორე სართულის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ელექტრო სისტემისა წყლის სისტემების მონტაჟი. ფაკულტეტს ექნება 5 თანამედროვე კომპიუტერული კლასი, ნაწილობრივ მოეწყო ფიზიკის ლაბორატორიებისათვის გათვალისიწინებული სივრცე. ფაკულტეტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად იზრუნებს, რათა სტუდენტებს და პროფესორ მასწავლებლებს ჰქონდეთ მაქსიმალურად კომფორტული და პრაქტიკულად მოსახერხებელი გარემო, რაც მთავარია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ვიზრუნებთ უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნაზე, რათა სტუდენტებს გავუადვილოთ სწავლისა და შემოქმედებითი პროცესი, ხოლო ლექტორ-მასწავლებლებს კი შევუქმნათ მაქსიმალურად კომფორტული გარემო რათა გადასცენ მაღალკვალიფიციური, თანამედროვე კონკურენტუნარიანი გარემოსათვის შესატყვისი ცოდნა. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს, სტიმული მივცეთ სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

— როგორ შეაფასებთ გასულ სასწავლო წელს (ფაკულტეტის მიღწევები)...

— გასული წელი ჩვენმა ფაკულტეტმა სკოლებთან ურთიერთობის წლად გამოცხადდა. დაიგეგმა რიგი ღონისძიებები საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, ჩვენი კურსდამთავრებულებისა და რა თქმა უნდა პროფესორ მასწავლებლების მონაწილეობით. შეიქმნა ფაკულტეტის მხარდამჭერთა ჯგუფი, სადაც გაერთიანდნენ სკოლის პედაგოგები, პროფესორ მასწავლებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ფიზიკის, მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით მარტისა და აპრილის თვეში ჩატარდა ღია საჯარო ლექციები, რომლებსაც ესწრებოდნენ რეგიონებისა და ქალაქის კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეები, აპრილისა და მაისის თვეში ჩატარდა რეფერატურულ-შემოქმედებითი ნამუშევრების კონკურსი, მაისის თვეში გაიმართა კონფერენცია სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით. აქტიური სკოლა, სკოლის მოსწავლეები და პადაგოგები დაჯილდოვდა სიგელებით. ჩვენს მიერ გამართულ ღონისძიებებზე განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები, სამწუხაროდ ნაკლებად აქტიურობდნენ მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები. ჩვენ მადლობას ვუხდით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რექტორს — ბატონ მერაბ ხალვაშს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბატონ ჯემალ ანანიძეს მხარდაჭერისათვის, რაც გამოიხატებოდა ფაკულტეტის სარეკლამო მხარდაჭერაში, ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერაში. გარ-

და ამისა ფაკულტეტზე საკმაოდ აქტიური სამეცნიერო და შემოქმედებითი ცხოვრება მიმდინარეობს, გაიმართა რიგი ღონისძიებები მიძღვნილი რადიოს დღისადმი, კომპიუტინგის დღისადმი და სხვა. პროფესორ მასწავლებლები სტუდენტების ჩართულობით ახორციელებენ სამეცნიერო საგრანტო პროექტებს, მონაწიეობენ ტემპუსის გრანტებში. ფაკულტეტის ვებ-გვერდი კარგად ასახავს ფაკულტეტის სასწავლო შემოქმედებით და სამეცნიერო მუშაობას.

— თქვენი ფაკულტეტის გადასახედიდან, რამდენად კმაყოფილი ხართ 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით?

— ჩვენი მუშაობა სკოლებთან კვლავაც გაგრძელდება. ანალიზმა ცხადყო, აბიტურიენტების მოზიდვის თვალსაზრისით, ჩვენი ფაკულტეტის კონტიგენტს დაეტყობა 2-3 წელიწადში თუ კვლავაც გავაგრძელებთ და გავაღრმავებთ სკოლებთან მუშაობას. შესაბამისად, განსაკუთრებული მოლოდინი აბიტურიენტთა მოზიდვის თვალსაზრისით წელს არ გვქონდა. თუ ვიმსჯელებთ განაცხადების მიხედვით, მსურველებით სრულად უნ და დაკომპლექტებულიყო მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა სპეციალობები, მაგრამ აბიტურიენტებმა ვერ შეძლეს ბარიერის გადალახვა, რაც ვფიქრობ ზედაპირზე სწევს სკოლებში ფიზიკისა და მათემატიკის სწავლებისადმი არსებულ პრობლემებს, პედაგოგების კვალიფიკაციის საკითხებს, სახელმძღვანელოების გაუმართაობის საკითხს. ცხადია ეს ყველაფერი გავლენას ახდენს აბიტურიენტთა მომზადებაზე, და არა მხოლოდ მომზადებაზე, არამედ სტიმულზე და ინტერესის გაღვივებაზე ჩვენი ფაკულტეტის სპეციალობებისადმი. ჩვენ გვაქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც დროშია გაწერილი და მოითხოვს თანმიმდევრულ განხორციელებას, რათა დავეხმაროთ სკოლას ზემოთ აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

— ფაკულტეტის სამომავლო გეგმები, მიზნები და ამოცანები...

— როგორც აღვნიშნე, ახალ სასწავლო წელს გვინდა კვლავაც ინტენსიურად გვაგრძელოთ სკოლებთან მუშაობა. წელს ვფიქრობთ ინტენსიური კომუნიკაცია დავამყაროთ მაღალმთიანი რაიონების სკოლებთან და ასევე მეზობელი რეგიონის სკოლებთანაც. გარდა ამისა, უნდა გაძლიერდეს სამაგისტრო საფეხურზე სწავლება, გვაქვს პროფესიული პროგრამების განვითარების პერსპექტივა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა და სწავლების ხარისხის ამაღლება წარმოადგენს ჩვენი ფაკულტეტის ერთ-ერთ მთავარ, პერმანენტულ მიზანს. საბედნიეროდ გვაქვს შესაძლებლობა სტუდენტები ჩავართოთ საგრანტო პროექტებში, კიდევ უფრო გავაღრმავოთ სტუდენტების ინტერესი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. უნდა განხორციელედეს სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნება. ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესი არ არის მხოლოდ ლექცია, პრატიკული და არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათებით, რომ აქ მნიშვნელოვანია ურთიერთობა, კომუნიკაცია ლექციის მიღმაც, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ. წელს ასევე მნიშვნელოვანი იქნება პროფესორ მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდისათვის ზრუნვა და რა თქმა უნდა, მომავალი სასწავლო წლის ძირითადი ამოცანები იქნება მზადება ავტორიზაციისა და აკრეტიზაციისათვის, ახალი პროგრამების მომზადება და ა.შ.

ჩვენი ექიმი — ეთერ ჯაყელი იუბილარია!

მეცნიერები თვლიან, რომ პროფესიის არჩევისას ადამიანზე მოქმედებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი – უნარები, ინტერესები, მოტივაცია, ღირებულებები, ოჯახი. ქართულ რეალობაში კი, ერთი ფრიად უცნაური ფაქტორიც მუშაობს – ეს არის პროფესიების დაყოფა პრესტიჟულ, ნაკლებად პრესტიჟულ და არაპრესტიჟულ პროფესიებად.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ექიმობა წარსულში მეტად დაფასებული ანუ პრესტიჟული პროფესია იყო. პრესტიჟულობასთან ერთად ექიმის დიპლომს წინ ხანგრძლივი, დაუღალავი შრომა უძღვის და ამასთან დიდ ნიჭიერებას, უნარებს მოითხოვს. ოჯახში ექიმი რძალის შეყვანა ოჯახის პრესტიჟს ერთიორად ზრდიდა. თანამედროვე, 21-ე საუკუნეში სხვადასხვა მწვავე ეკოლოგიურმა პრობლემებმა, გარემოს დაბინძურებამ ქიმიური, ბიოლოგიური თუ ფიზიკური აგენტებით, მსოფლიოში ახალი დაავადებები წარმოშვა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაამწვავა, შედეგად, დღესდღეობით დაავადებულთა რიცხვმა იმატა და პროფესია ექიმი საზოგადოების კეთილდღეობისათვის პრესტიჟულობასთან ერთად, კიდევ უფრო საჭირო გახდა.

მსურს, თქვენი ყურადღება შევაჩერო წარსულში მეტად პრესტიჟული, დღეს კი — მოსახლეობის კეთილდღეობისათვის უფრო მეტად საჭირო პროფესიის მქონე ერთ ექიმზე, გამორჩეულ, ღირსეულ ქალბატონზე, მეუღლეზე, დედასა და მეგობარზე. ეს ჩვენი უნივერსიტეტის მედპუნქტის ექიმი — ეთერ ჯაყელია.

ეთერ ჯაყელი 1956 წელს დაიბადა, დაბა ხულოში, მოსამსახურის ოჯახში. ექიმობა მისი ბავშვობის დაუოკებელი ოცნება იყო, ამიტომაც ხულოს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა. საქართველოში სამედიცინო პროფილის ერთადერთ, მეტად პერესტიჟულ და მოთხოვნად უნივერსიტეტში მოხვედრა ადვილი არ იყო. სამწლიანი დაუღალავი შრომის შემდეგ მან ოცნება აიხდინა. სტუდენტობის არაჩვეულებრივი, საინტერესო, დაძაბული მძიმე შრომის შემდეგ, ეთერი ჯაყელმა 1986 წელს სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა ექიმი — თერაპევტის კვალიფიკაციით.

„ვფიცავ აქიმ აპოლონს, ასკლეპიოსს, ჰიგიეიას, პანაკეიას და ყველა ღმერთებს და ქალღმერთებს, ვიმოწმებ ყველას, რომ შევასრულო პატიოსნად, ჩემი ძალისა და შეგნების შესაბამისად, შემდეგი ფიცი და წერილობითი ვალდებულება: მე წარვმართავ ავადმყოფთა რეჟიმს მათი სარგებლობისა და ჩემი ძალისა და შეგნების შესაბამისად ისე, რომ თავი დავიჭიროთ ყოველგვარი ვნებისა და უსამართლობის მიყენებისაგან“.

ესაა ციტატა ჰიპოკრატეს ფიციდან, რომელიც ეთერ ჯაყელმა თავისი კარიერის დასაწყისში წარმოთქვა და თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, რასაც ადამიანის სიცოცხლეზე ზრუნვა ჰქვია.

სწავლის დამთავრებისთანავე ქალბატონმა ეთერმა მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო სამსახურში, შემდეგ მუშაობა განაგრძო აჭარის უშიშროების სამინისტროს პოლიკლინიკაში ექიმი-თერაპევტის თანამდებობაზე, სადაც ის მუშაობდა 2004 წლამდე.

ეთერ ჯაყელი 2004 წლიდან დაწყებული, უკვე 12 წელია, ჩვენი უნივერსიტეტის სამედიცინო პუნქტის ექიმია. სწორედ აქ იკვეთება ჩვენი გზები და ამ დროიდან მოყოლებული ის თითოეული ჩვენგანის ახლობელ ადამიანად იქცა.

ქალბატონი ეთერი დილიდან საღამომდე, თავისი განუყრელი, მედიკამენტებით დატვირთული სამედიცინო ჩანთით ხელში, ერთი კორპუსიდან მეორეში, ყოველთვის რომელიღაც თანამშრომელთან ან სტუდენტთან მიიჩქარის დასახმარებლად. ის მუდამ მოფუსფუსე და დაკავებულია, გაჭირვების დროს ყოველთვის ჩვენ გვერდითაა. დიდ პროფესიონალიზმთან, ფიცის ერთგულებასთან ერთად, მას უდიდესი პასუხისმგებლობა და მისაბაძი გულისხმიერება ეხმარება. ეთერი წყნარად, აუღელვებლად, თავდადებით ასრულებს თავის კეთილშობილურ საქმიანობას. თუ ერთხელ ჯანმრთელობის პრობლემა შეგექმნა, დახმარების აღმოჩენის შემდეგ, არაერთხელ მოგიკითხავს და მდგომარეობას შეამოწმებს, საჭირო ღონისძიებებს მიიღებს და სამომავლო გამოკვლევებისათვის რჩევებს გაძლევს, იქნება ეს თანამშრომელი თუ სტუდენტი.

ეთერ ჯაყელი გამორჩეულია თავისი კეთილშობილებით. კეთილშობილება ხომ უდიდესი სამკაულია ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელ სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი, მაგრამ, როდესაც შეგიძლია იყო სხვათა სიცოცხლის, ჯანმრთელობის სადარაჯოზე, გვერდით ედგე ყველას საჭირო დროს, იყო მისი გულშემატკივარი და თანამონაწილე, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

აღნიშნულ უდიდეს თვისებებთან ერთად, ეთერ ჯაყელს საამაყო ოჯახი აქვს. მისი მეუღლე, ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ბარათაშვილია, რომელთან ერთადაც უკვე ათეული წელია, საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა და ხელმოკლე, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების დროულ დაფინანსებას უზრუნველყოფს ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიით. მათ სამი ულამაზესი ქალიშვილი გაზარდეს ერთად. უფროსი — მარიამ ბარათაშვილი, სპეციალობით ეკონომისტი და ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტი, American Trading Company-ს დირექტორი და ორი შვილის დედაა. ანა — ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტი, მთავრობის აპარატში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობს. მესამე ქალიშვილი — თამარი სპეციალობით ეკონომისტი, მარკეტინგის მაგისტრი, ამჟამად იმყოფება ავსტრიაში გაცვლითი პროგრამით, ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით.

ძალიან ძნელია მოძებნო სიტყვები იმ სითბოსა და სიყვარულის გამოსახატავად, რომელთაც იმსახურებს ეს არაჩვეულებრივი პიროვნება, ჭეშმარიტი ექიმი, ნამდვილად ღირსეული ქალბატონი, მეგობარი, დედა, მეუღლე და ბებია.

მიმდინარე წლის აგვისტოში ეთერ ჯაყელს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. მინდა შევუერთდე მისი იუბილესადმი მიძღვნილ მილოცვებს, გულწრფელად გამოვხატო უღრმესი პატივისცემა და სიყვარული მის მიმართ, და ვუსურვო, რომ კვლავაც დიდხანს არ მოშლოდეს მისთვის დამახასიათებელი უსაზღვრო სიყვარული ადამიანების მიმართ, მათზე ზრუნვა, განწყობის ამაღლება, სითბოს და სიყვარულის გაზიარება, აზრისა და ჯანის სინმრთელე, სულის სითბო, სიკეთე და სიხარული, მომავალი დიდი წარმატებები.

გუგული დუმბაძე,
ბიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი

ბსუ-ს პროფესორების საჯარო ლექციათა ციკლი მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალზე 2016

ბსუ-ს მეცნიერებმა და პროფესორებმა ალეკო კალანდიამ, ზოია სიხარულიძემ, მამია ფაღავამ, მალხაზ ჩოხარაძემ და ზაზა შაშიკაძემ მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 2016-ის ფარგლებში გამართულ საჯარო ლექციათა ციკლში მიიღეს მონაწილეობა. საზოგადოებამ საინტერესო ინფორმაცია მოისმინა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე კვლევების, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

საჯარო ლექციები შემდეგ თემებს შეეხებოდა:

• „დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრის შესაძლებლობები“ — ალეკო კალანდია

• „ქვეყნის სასურსათო და ბიოლოგიური უსაფრთხოების გარანტიების გაძლიერება მცენარეული გენეტიკური რესურსების შესწავლისა და შენარჩუნების გზით“ — ზოია სიხარულიძე

• „ქართული კილოები ჭოროხის ხეობაში“, „ქართული ენის გეოგრაფია თანამედროვე თურქეთში“ „ოსმალური საისტორიო წყაროები ჭოროხის ხეობის შესახებ“ — მამია ფაღავა, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე.

გრენობლის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

ტემპუსის პროექტის LMPH-ის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გრენობლის აკადემიის რექტორი მიშელ ბროსე და პროექტის კოორდინატორი, გრენობლის უნივერსიტეტის პროფესორი ჟან ნოელ პიშუ ეწვივნენ. სტუმრებმა უნივერსიტეტის რექტორთან მერაბ ხალვაშთან, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანთან როსტომ ბერიძესთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებსა და გეგმებზე ისაუბრეს. ტემპუსის პროექტი „ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში“ 2013 წლიდან ხორციელდება და მიზნად ისახავს საქართველოში ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას. LMPH-ი ითვალისწინებს ტურიზმის სასწავლო პროგრამებში სასტუმროს დარგის საგნების მოდიფიცირებას ევროპული აკრედიტაციისა შესაბამისად და ახალი სასწავლო მოდულების დანერგვას.

ტესტი დამწყები მეწარმისთვის

ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა შემოსავლის მოპოვებასთან არის დაკავშირებული, რაც ყველაზე კარგად მეწარმეობაში, კომერციულ საქმიანობაში ჩართულობაში გამოიხატება. ასეთ შემთხვევაში ინტენსიურად იწყებს მოქმედებას ადამიანის ყველა ფსიქიკური შესაძლებლობები და შეიძლება ვთქვათ, რომ კომერციულ საქმიანობაში ჩართული ადამიანი თანდათანობით უახლოვდება სრულყოფილი მეწარმის ეტალონს. ნამდვილ საქმიან პიროვნებაში ჰარმონიულად თავს იყრის გონებრივი პოტენციალის ყველა პარამეტრი. ამიტომ ქვემოთ მოყვანილი ტესტი შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ რამდენად მზად ვართ მეწარმეობისათვის, კომერციული საქმიანობისათვის, რა გვჭირდება წინ ნაბიჯის გადასადგმელად.

გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებს და შემოხაზეთ თქვენთვის შესაფერისი პასუხი.

როგორ ვარაუდობთ გამდიდრებას ახლო მომავალში?

ა) კარიერის გაკეთებით, ხელმძღვანელ საფეხურზე ზემოთ ასვლით;

ბ) ფულის საქმეში ჩადებით, გარისკვით;

გ) ლატარეაში ბედის ცდით.

რომ გქონდეთ შესაძლებლობა გამოხვიდეთ მსახიობის როლში, ვის როლს ითამაშებდით ყველაზე უკეთ?

ა) ოსტაპ ბენდერის;

ბ) „ანა კარენინა“-დან ლევინის როლს;

გ) შტირლიცის როლს კინოფილმიდან „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“.

წარმოიდგინეთ, რომ მილიონი გამოიმუშავეთ. რას გააკეთებთ შემდგომ?

ა) ფულს ბანკში შევინახავ და პროცენტებს დველოდები ანაბრებისგან;

ბ) გავრისკავ მომგებიან საქმეში დაბანდებას;

გ) ფულის ნაწილს ახალ საქმეში დავაბანდებ, ნანილს კი – სოლიდურ ბანკში საიმედოობისთვის.

თქვენი აზრით, რას მოგიტანთ ფული?

ა) ძალაუფლებას;

ბ) ცხოვრებაში სიამოვნებას;

გ) ბევრ ახალ საზრუნავს და შურს.

თუ გამდიდრდებით, გაქვთ სურვილი ამის შესახებ გაზეთებში დაწერონ?

ა) არა;

ბ) დიახ;

გ) ჩემზე ხანდახან ისედაც წერენ.

პროფესიების ამ სამი ჯგუფიდან რომელი შეგესაბამებათ ყველაზე მეტად?

ა) მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი;

ბ) ადვოკატი, ექიმი, პოლიტიკოსი;

გ) ფირმის, ინსტიტუტის ხელმძღვანელი, გამომცემლობის დირექტორი.

თქვენი ფირმის შექმნისას, სამუშაოზე მიიღებთ პირებს, რომლებიც ადრე თქვენი მეგობრები იყვნენ?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) ამ კითხვაზე საფუძვლიანად უნდა დავფიქრდე.

წარმოიდგინეთ, რომ მილიონი გამოიმუშავეთ. როგორ მოიქცევით?

ა) ჩემს ცხოვრებაში შეიცვლება მხოლოდ ბინა, მანქანა, ავეჯი და სხვა გარემო;

ბ) თავს მეტი მოგზაურობის უფლებას მივცემ;

გ) კარდინალურად შევცვლი ცხოვრების წესს.

წარმოიდგინეთ, რომ ფირმის დირექტორი ხართ. რითი დაიწყებთ საქმიანობას?

ა) იმ ადამიანების შესწავლით, რომლებთანაც მომიწევს მუშაობა;

ბ) განვსაზღვრავ ფირმის მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

გ) შევეცდები საიმედო დახმარების პოვნას.

რომელი შეხედულება მიგაჩნიათ უფრო მიმზიდველად, თუ დარწმუნდებით და ფირმის დირექტორი გახდებით?

ა) ჩემს მუშაობაში შემცირდა პროფესიულ-ტექნიკური ჩვევების მნიშვნელობა და გაიზარდა კონცეპტუალური ცოდნის როლი;

ბ) რაც უფრო მაღალია მართვის რანგი, მით უფრო მნიშვნელოვანია კომუნიკაციური უნარები და შესაძლებლობები პროფესიულ–ტექნიკურთან შედარებით;

გ) თანაბრად შეიცვალა მოთხოვნები ყველა თვისების მიმართ.

თქვენს ფირმაში ერთ-ერთ ბრიგადაში კონფლიქტური სიტუაციაა, როგორი იქნება თქვენი, როგორც ფირმის დირექტორის მოქმედებები?

ა) საჭიროა მოვისმინო ორივე მხარის აზრი და დავარწმუნო ისინი იპოვონ კომპრომისული გადაწყვეტილება;

ბ) საჭიროა ყველას აზრის მოსმენა, მაგრამ კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტა მივანდოთ ბრიგადას;

გ) გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მცირე კონფლიქტი არ გაღვივდეს, დიდ კონფლიქტში არ გადაიზარდოს.

რამდენად ძლიერ განიცდით დიდი ფულის ქონის მოთხოვნილებას?

ა) მუდმივად;

ბ) პერიოდულად;

გ) უფრო არა.

მილიონი რომ გქონდეთ და მოგეცეთ შესაძლებლობა დადოთ ახალი გარიგება, რომელს აირჩევდით? იმას, რომლის მოგებაც იქნება:

ა) მეოთხედი მილიონი;

ბ) ნახევარი მილიონი;

გ) მილიონი.

შემდეგ უნდა ჩაწეროთ კითხვების ნომრები და არჩეული პასუხის ვარიანტები.
ამის შემდეგ შეგიძლიათ დათვალოთ ქულების ჯამი.

ქულები შემდეგნაირად ფასდება:

კითხვა	პასუხი		
1	ა) 6;	ბ) 3;	გ) 0.
2	ა) 3;	ბ) 0;	გ) 6.
3	ა) 0;	ბ) 6;	გ)3.
4	ა) 6;	ბ) 0;	გ) 3.
5	ა) 0;	ბ) 3;	გ) 6.
6	ა) 0;	ბ) 3;	გ) 6.
7	ა) 0;	ბ) 3;	გ) 6.
8	ა) 6;	ბ) 3;	გ) 0.
9	ა) 3;	ბ) 6;	გ) 0.
10	ა) 6;	ბ) 0;	გ) 3.
11	ა) 3;	ბ) 6;	გ) 0.
12	ა) 6;	ბ) 3;	გ) 0.
13	ა) 0;	ბ) 6;	გ) 3.

შემდეგ შეაჯამეთ ქულები და 9–ქულიანი სკალის მიხედვით განსაზღვრეთ თქვენი უნარების დონე კომერციულ საქმიანობაში რისკის მიმართ.

ძალიან დაბალი დონე (0–დან 11 ქულამდე).
დაბალი დონე (12–დან 19 ქულამდე).
საშუალოზე ძალიან დაბალი (20–დან 27 ქულამდე).
საშუალოზე ოდნავ დაბალი (28–დან 35 ქულამდე).
საშუალოზე (36–დან 43 ქულამდე)
საშუალოზე ოდნავ მაღალი (44–დან 51 ქულამდე).
საშუალოზე მაღალი (52–დან 59 ქულამდე).
მაღალი დონე (60–დან 67 ქულამდე).
ძალიან მაღალი დონე (68–დან 78 ქულამდე).

შედეგების ინტერპრეტაცია.

თუ განსაზღვრეთ, რომ გაქვთ რისკის უნარი კომერციულ საქმიანობაში და ის 1–3 დონეების ფარგლებშია თქვენთვის გამდიდრების საუკეთესო ხერხია მტკიცედ მუშაობა მენეჯერის, ხელმძღვანელის კარიერისთვის თავის არიდებით.

თუ ის მე-4 – მე-6 დონეებზეა, თქვენ გაქვთ გამდიდრების შანსი, მაგრამ აუცილებლად უნდა განავითაროთ თქვენში კომერსანტის შესაძლებლობები.

თუ მე-7 – მე-8 დონეებზე ხართ, თქვენ გაქვთ მენეჯერის პროფესიის დაუფლების შანსი.

თუ დააგროვეთ 68-დან 78 ქულამდე ანუ ხართ მე-9 დონეზე, რეალური შანსი გაქვთ გახდეთ მილიონერი, თუ უკვე არ ხართ!

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე, ინგა შამილიშვილი,
ნათია წიკლაშვილი,
მურმან ცეცხლაძე, მურმან გორგოშაძე,
დავით ბარათაშვილი,
გურამ ჩაგანავა, ზოთა მამულაძე,
გუგული დუმბაძე, ნუგზარ ღომიძე

გაზეთი დაიბეჭდა შპს
„გამომცემლობა კოლორში“
ტელ.: 2 71 76 45
მის.: ქ. თბილისი,
კახეთის გზატკეცილი,
რკინიგზის ჩიხი 20